

# მ რ ი

№ 6

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მწიგნობრობის საქმე ჩვენში—კავკასიის ახალი გორისუფაღნი—ალაროდირისა; ღექსი—ალუღი-შვილისა; უცნაური გავანება—სვ. ყიფიანისა; მერტხადი—ი. მჭედლიშვილისა; ახალი მშუკნაური სახე—კ. აბაშიძისა; დახარა ამაყი თავი—ლევ. მეტრეველისა; ჩენია—გ. გვაზავასი; მთა—ალბანელისა.

კვირა, 14 მარტი

საზოლიტიკო, სამეც. და სალიტ. ჟურნალი

1910 წ.

## მწიგნობრობის საქმე ჩვენში.

—:—

დღეს ჩვენ ჟურნალ-გაზეთობაში და საზოგადოებაში დიდ ყურადღებას იპყრობს ტერიტორიის საკითხი. მარჯულ მამულის საქმე ისეთი ძირითადი საკითხია, რომ ღირსია დიდი ყურადღებისა. ისაა ჩვენი „ყოფნა არ ყოფნის“ კვაკუთხედთაგანი, მაგრამ ისიც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ერის არსებობა, მისი წინსვლა მართლმადიდებლურ საფუძველზე არაა დამყარებული. მართალია, ჩვენში ფეოდალურ ცხოვრების უკიდურესმა განვითარებამ და შემდეგ ამ ცხოვრებას არა შინაგან განვითარების გამო დარღვევამ გზა-კვალი დაგვიბნია და ისეთი სულერი განწყობილება გვიანდერძა, რომელიც მეტად ხელშემშლელია დღევანდელ კულტურულ ცხოვრებაში საჭირო შეუჩერებელი, დინჯ და წინასწარ მოფიქრებულ საქმიანობისათვის, მაგრამ ისიც მართალია, რომ თუ ვამარჯვებთ ერგო წილად იმ თეორიას, რომელიც დღეს საზოგადოების ერთ ნაწილში ფეხს იკიდებს, არც მაშინ დაგვეყრება ხეი. დღეს არა ერთი და ორი გეტყვი: ჩვენი დევიზი უნდა იყოს: თავის საქმეები კარგად მოაწყობო, საქმიანობა პირადის მიზნითო!

თვისი ცხოვრება კარგად მოაწყვე, პირად საქმეებში უაღრესი საქმიანობა გამოიჩინე და მაშინ ქვეყნისათვისაც გამოსადევი იქმნებიო. მართალია სამრეწველო და სავაჭრო ასპარეზზე პირადი ინტერესით მოქმედება ხალხის კეთილდღეობასაც ემსახურება ხშირად, მაგრამ ისიც მართალია, რომ თუ საპირადოს თან არ ახლავს საზოგადო, მაშინ ის ხშირად ვნების მომტანიც არის. ჩვენში დღეს საკმაოდ მოიპოვებინ ისეთი ადამიანები, რომელთაც პირადი ცხოვრება საკმაოდ კარგად მოუწყვიათ, მაგრამ მათი საქვეყნო მნიშვნელობა მეტად საეჭვოა. პირიქით

ბევრი მათგანი სრულიად ჩვენი ცხოვრების გარეშე სდგანან და არც არავითარ სარგებლობას მათგან ჩვენ არ ვხედგვთ. რასაკვირველია, ყოველ ხალხისთვის უმჯობესია, რომ მისი წევრი თავის თავს მაინც უვლიდეს და მოძმის ბარგად არ იყოს გადატყუელი, მაგრამ თუ ჩვენ ჩვენი მისწრაფება ვიწრო პირადულ ხაზით შემოვფარგლეთ, ცხადია, რომ ამით ქვეყანას სამსახურს ვერ გავუწევთ.

იყო დრო, როდესაც მწიგნობრობა წმინდა საქმედ ითვლებოდა, როდესაც წიგნის დაწერა ან გადაწერა სულის საოხ საქმედ იყო მიჩნეული, მაგრამ ცხოვრების ცვლადობამ ეს წმინდა საქმე დღეს საეჭვო საქმედ აქცია. დღეს წიგნის დაბეჭვდა და აქედან მწერლის გონებრივი მუშაობაც ვაჭრის ხელშია და იმდენად ვითარდება, რამდენადაც მას მოგების სუნი უღის. კარგია, როცა პირადი სარგებელი ვაჭარს მიიზიდავს მწიგნობრობისაკენ და მწერალსაც თვითონ გამომცემელი ეძებს, მაშინ ცხადია, რომ ერის ამა თუ ამ წევრის გონებრივი ნაწარმოები ამ ერისათვის არ დაიკარგება. როცა ხალხი ასეთ წერტილზე ასულა, მისი გონებრივი ზრდა უზრუნველ ყოფილია მაშინ მწერალსაც მისი გონებრივი შრომა ასაზრდოებს და სამშობლოს სამსახური, სახელი, თვითონ შემოქმედების ძალა აქეზებს და ამუშავებს.

უზრუნველ ყოფილია ფრანგი გონებრივი ზრდის მხრივ, როცა მაგ. ედმონდ როსტანს შეეძლო ჯერ კიდევ დაუწერელ პიესაში, ეხლა გამოქვეყნებულ „შანტეკლორში“ ავანსად 40.000 ფრანკი მიეღო. აქ თავგანწირულებაც არაა, მსხვერპლიც არა ჩანს. ერის წევრი თავისუფლად ეძლევა თავის შემოქმედებას. მაგრამ რა ქნას იმ ხალხმა, რომლის შვილი უანგაროდ, თვდავიწყებით მუშაობს შემოქმედების ასპარეზზე და ვეღარ ღირსება, რომ თავის ნაწარმოები გამოაქვეყნოს. ჩვენ საუკეთესო მწერალთა ნაწარმოებნი დღესაც უმეტესად მივიწყებულია. უკვე არ მოიპოვება რჩეული შვილის რომანები, ვერსად იპოვით არდაზიანის წარჩინებულ რომანს „მეჯღანუაშვილს“, ილია ჭავჭავაძის თხზულებებს

ჩაის კოვზით, სიფრიფანა ბროშურების სახით გვაწვდის „წერა-კითხვის“ საზოგადოება და ასე თუ განაგრძო, ალბად ორმოცი წელიწადი მაინც მოუნდება, რომ სულ დამთავრდეს ამ ძლიერ მწერლის ნაწარმოებთა დაბეჭდვა. აკაკის ჩემოდნით დააქვს თავისი ხელ-ნაწერები და რასაც ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდვა ღირსებია, ისიც გამოუცემელია და ვერსად იპოვით ისეთ მის პოემასაც, როგორც არის „ნათელა“. ვერსად იპოვით შექსპირის დრამების შესანიშნავ თარგმანს. განა ჩამოთვლა შეიძლება? მაგრამ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში კიდევ გვაქვს ჩვენ ორიოდ ნაწარმოები დაბეჭდილი, ხოლო სულ მიჩრდილულია სამეცნიერო მწერლობა. მთელი წლები გადის ისე, რომ ერთს არამც თუ მსუქან წიგნს, უბრალო ოც ფურცლიან სამეცნიერო წიგნაკსაც ვერ იპოვით. ამავე დროს კი ხალხში გონებრივი საზრდას მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება. მერე საიდან დაიკმაყოფილოს ხალხმა ეს წყურვილი? ცხადია, ის სხვა წყაროს მიმართავს. აი აქ იწყება იერიში ჩვენ გონებრივ არსებობის წინააღმდეგ. სამშობლო ლიტერატურა იჩაგრება, ხალხის შემოქმედება სუსტდება და იმდენადვე ძლიერდება უცხო გავლენა. ის ფსიხური განწყობილება, ის ფსიხური თავისებურება, რომელიც ერს შეუქმნია თავის ხანგრძლივ მოუსვენარ, ბრძოლით სავსე და ფრიად მდიდარ ისტორიულ ცხოვრებაში უჩინრად, შეუმჩნევლად თანდათან ირღვევა. ჩვენს სულს უნებლიედ იპყრობს სულ სხვა პირობებში, სხვა ფსიხურ ნიადაგზე აღმოცენებული გონებრივი ნაწარმოებები... ჩვენ ისტორიულ სულს, ისტორიულ თვითშეგნებას შიში მოვლას, ჩანთქვას გვიქადის ვარეშე ძალა, და თუ მოსულს შესაფერი დამხდური არ მიეგება, მაშინ ცხადია გამარჯვება ვისაც დარჩება. ამიტომაც ჩვენი საზოგადოების მოვალეობაა, არ დაავიწყდეს თავის მდგომარეობა, და თუ ის დღეს ნათლად გრძნობს, თუ როგორ მიწას ფეხქვეშ გვატლიან, ისიც უნდა იგრძნოს, თუ როგორ სულს პირიდან გვართმევენ. ზრუნვამ მატერიალურ არსებობისათვის არ უნდა დაგვაფიწყებინოს ზრუნვა გონებრივ არსებობისათვის.



## კავკასიის ახალი ჭირისუფალნი

„Жизнь Кавказа“-ს თანამშრომლები კავკასიის ახალ ჭირისუფლად გამოვიდნენ. პეტერბურგიდან გვაწვდიან სახუცემო ხმასა თავიანთ მეცნიერულ, ეკონომიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალში.

რასაკვირველია ამ მეცნიერებსა და პოლიტიკოსებს სწამთ უპირველესი პირობა ხალხთა ჭირისუფლობისა, — მათი ცხოვრების ზედ-მიწევნით ცოდნა, და კიდევაც უაღრესად იჩენენ კავკასიის ხალხთა ცოდნას ჟურნალის იმ სამ ნომერში მაინც, რომელიც ეხლა თვალწინა გვაქვს. აი, მაგალითად, ბ-ნი ტოტომიანი რა ღრმად დაჰკვირვებია ჩვენს ცხოვრებას კავკასიაში მოგზაურობის დროსა: 1) თბილისში უნახავს დიდი ინტელიგენცია და ხატისოვი და არლუთინსკი ყოფილან თურმე უშესანიშნავესნი ამ ინტელიგენციის შორის... თბილისშივე უნახავს ზუბალაშვილების სახალხო სახლი. ავრონომთა შორის სამიწადმომქმედო კრებაზე უშესანიშნავესნი ყოფილან: ფირალოვი, ქალანთარი, ტიმოფეევი და ეირანოვი. ყოფილი აგრეთვე თბილისში წვრილი მრეწველობის კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელიც ფირალოვია. — აი რითი ყოფილა თბილისი შესანიშნავი. — ხატისოვი, არლუთინსკი, ეირანოვი, ფირალოვი, ქალანთარი და სხვანი დიდ მოღვაწეთა და გონებრივ ბუმბერაზთა შორის, სახალხო სახლი და „Кустарный комитет“-ი—ღირს-შესანიშნავ დაწესებულებათა შორის! — ღრმა და ფართო დაკვირვებაა, არა მკითხველო? 2) ბაქოში ტოტომიანს უნახავს ბევრი რამ, მაგრამ... ღირს-შესანიშნავ კაცთა შორის—მარტო ბ. მ. დოლოუხანოვი, „ურომლისოდაც თითქმის არც ერთი კეთილი საქმე არ კეთდება ბაქოში“. 3) გერმანელ ბორჰკარდტის აზრით სომხები ძლიერ კარგად ეკიდებიან მიწის მუშაობას, თათრებსა სჯობიან ვაცილებით, ქართველები კი მშვენიერი ჰავის გამო დაზარმაცებულიები არიან, არა აქვსთ დიდი მოთხოვნილება, არა აქვსთ მისწრაფება გამდიდრებისადმი, „რაიცა მათ ძლიერ სიმპატიურად ვახდიდა“. — როგორ მოგწონთ — დაკვირვებისა და შესწავლის მაგივრად, ბორჰკარდტის აზრი. ეს რასაკვირველია კიდევ არაფერი, მაგრამ, ერთი ჰკითხეთ ბორჰკარდტსაც და ბ-ნი ტოტომიანსაც, — რა ხარისხისაა ს.ი.მ. ხის გლეხის მოთხოვნილება? რა ხარისხისაა აგრეთვე მისი მისწრაფება გამდიდრებისადმი ან რატომ მაინც და მაიც ამ მისწრაფებით უნდა განიზომოს ჩვენი სიმპატია გლეხისადმი? — ან ქართველი გლეხის სიზარმაცე სადა ნახეს, იქნებ მთვარიან ღამეში, — ყანებში მუშაობის დროსა? — ან იქნებ ისიც ახალი ამბავი იყოს მათთვის, რომ მაგალითად დასავლეთ საქართველოში სწორედ მოთხოვნილება სკარბობს მის დაკმაყოფილების საშუალებასა გლეხთა შორის? იქნება ისიც მართალია, რომ სადაც მეღვინეობაზედ ლაპარაკობენ ამიერ კავკასიაში, იქ კახეთის სახელის ხსენება აუცილებელია, — თუმცა რასაკვირველია არა ცნობილ აბაზას გეოგრაფიის მიხედვითა! 4) ბ-ნი ტოტომიანი კოაპერაციითა მომხრეა, სპეციალისტია, და რასაკვირველია ეინტერესება კოაპერაციითა გავრცე-

ლება. ამიტომაც ეთანხმება ბორჰკარდტის აზრს, — საჭიროა პროპაგანდა სამიწად-მომქმედო კოოპერაციითაო. მაგრამ იქვე შენიშნას უკეთეს, ფრიად უცნაურსა: „ლიტერატურული პროპაგანდა, რომელსაც თავის ხარჯით ეწევა დოქტორი ბუდუშინი სომხურ ენაზედ, არ არის საკმარისი:—საჭიროა აგრედვე სიტყვიერი პროპაგანდა, რომლისთვისაც მომზადებულია განსაკუთრებით ქუთაისის, თბილისის და ერევნის გუბერნიები“-ო. — ერევნის გუბერნიის არ ვიცით, მაგრამ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მგონი ლიტერატურული პროპაგანდაც საჭირო უნდა იყოს, — მაგრამ ... ქართულ ენაზედ, თუ ბ-ნი ტატომიანიცი დაგვეთანხმება. — რამდენია ასეთი დაკვირვება და მსჯელობა ბ-ნ ტატომიანისა, — მის ორ წერილში (№ 1, 3), მაგრამ რა ღირებულობისაა იგი — ამისი კი რა მოგახსენოთ. არ ვიტყვი, მის წერილებშიც არის სიმართლე, სხვა წერილებიც საყურადღებოა მათთვის, ვინც არა იცის რა ჩვენ ქვეყანაზედ, მაგრამ ზემოხსენებულ უცნაურ „ცოდნათა“ „დაკვირვებათა“ და „შენიშნათა“ მაგალითებიც საინტერესოა!...

ეხლა პუბლიცისტური ნიმუშებიც ნახეთ. ეს კიდევ უფრო უცნაურია. მაგალითად:

„9 იანვარი და 6 თებერვალი, — აი ორი რიცხვი რუსულ პოლიტიკურ ცხოვრების ისტორიის ძირითად ცვლილებების (переломы). 6 თებერვალი — დასაწყისია სომეხ-თათართა მტრულის ომისა (კურსივი ჩვენია), რომლის დროსაც მარტო ბაქოში 1,000 მეტი კაცი მოკვდა თებერვალში, ავესტოში და დეკემბერში, და რომელიც შემდეგ უზარ-მაზარ ქვეყანას მოედვა მთელი წელიწად ნახევრის განმავლობაში“-ო, სწერს ბ-ნი პონომარიევი. (№ 2). გავრცელებულა ეს ომი მთელს ამიერ კავკასიაში, „ხუთი წლის შემდეგ კი სისხლი შემშრალა ამიერ კავკასიის ქალაქთა ქუჩებზედ“. მას გაუნადგურებია მთელი ამიერ კავკასია, მაგრამ ერთი სარგებლობაც მოუტანია, — გამოუღვიძებია კავკასიის ხალხები, ამ საშინელი „გაკვეთილის შემდეგ მათ გაუგიათ ეროვნული შოვინიზმის მავნებლობა“, და სხვ. — და ესე ყოველი სულ ამ ჟღერის დროის „ИХОЛЪТІЕ“-ს უსწავლებია კავკასიისათვის, — არა თუ ამიერ კავკასიისათვის, — მთელს კავკასიისათვის!

რომ ჩვენი სიმპატია მშვიდობიანობისაკენ უნდა იყოს, რომ მათგანობას დღე დანაშაული მიუძღვის სომეხ-თათართა ჟღერებში, რომ ბევრი დაიღუპა, შევლის ღირსნიც არიან, აგრეთვე რომ კავკასიის ეპირეება კულტურული დაწესებულებანი, რეფორმები, და სხვ. — ყოველივე ესე ჩვენთვის აქსიომაა, მაგრამ არც პონომარიევის ღ არც არავის ნებას მივცემთ მთელი კავკასიის ცხოვრება 1905—1906 წლ. სომეხ-თათართა ჟღერითა, ან როგორც ის ამბობს, ომით ახსნას და მას მიაწეროს როგორც ავი, ისე კარგი ჩვენის ცხოვრების ამ ახალ წარსულ და

აწეო ვითარებისა, ვინაიდან ეს სიტყუევა და არა თუ მარტო ჩვენთვის, ქართველთათვის და ერთობ კავკასიისათვის შეურაცმყოფელია, არამედ არც თვით რუსის ხალხისათვის არის დიდი კომპლიმენტი. — როგორ, — 9 იანვარი, ის დღე რომელმაც მთელი რუსის ხალხის რწმენით ახალი ხანა დაიწყო, — ხანა განახლებისა და უდიდესის რევოლუციისა, 6 თებერვალს შედარება დიადი მნიშვნელობათა, — 6 თებერვალს, ორი ხალხის საერთაშორისო ჟღერის დასაწყისსა? — რა იყო ამ ჟღერებში ან რევოლუციონური. ან განმახლებელი, ან სხვა რამ დიდი სოციალური მოვლენა, გარდა ფანტიზმისა, შოვინიზმისა, თანაც პროვოკაციისა? — რა არის საერთო რუსეთის რევოლუციის დასაწყისსა და სომეხ-თათართა ჟღერის შორის? სწორედ აღტყინებული ფანტაზიისა უნდა იყოს ადამიანი რომ ამ ორ მოვლენას ერთი და იგივე მნიშვნელობა მიაწეროს. — შემდეგ, — რა შუაშია აქ მთელი ამიერ კავკასიის ქალაქები, მთელი ამიერ კავკასია, მთელი კავკასია, მისი ყველა ხალხი? — სხვების ადვოკატობას ჩვენ არ დავიწყებთ, მაგრამ, ნურას! უკაცრავად, და ნება გვიბოძეთ ქართველებმა განაცხადოთ, რომ ჩვენ არავითარი კავშირი არა გვქონია ამ ომთან, მას არც ჩვენ შეგნებაზედ, არც ჩვენ პოლიტიკურ სიმწიფეზედ და წინ-მსვლელობაზედ არავითარი გავლენა არა ჰქონია. არც ქართულ ქალაქებში ჰქონია ადგილი ამ ომსა, გარდა თბილისისა, სადაც ბრძოლა მაინცა და მაინც ვერ იყო ვაჟკაცური, ღ ჩვენი სავალალოც ის არის, რომ ამის ნება მივეცი ერთსაცა და მეორე მხარესაც. — უკაცრავად, სწორედ 1905-ს წლებში საქართველოში იყო დიდი მოძრაობა, ნამდვილი სოციალური მოძრაობა, რომელსაც ძირი ჩვენი ეროვნული ცხოვრების წარსულში აქვს. ჩვენში ნამდვილი რევოლუცია იყო, რევოლუცია თავისი აუცილებელი ნაკლითა, მაგრამ ყველა ღირსებითაც. იგი შემოქმედებითი იყო, განსაზღვრული იდეალის მქონე: მას არც ერთა შორის ომი ჰქონია მიზნად და არც დაწყებული ამ ომითა, არამედ იგი იყო ღრმა დემოკრატიული, სოციალისტურ პარტიებისგან ხელ-მძღვანელი, საერთაშორისო ძმობის განმამტკიცებელი. ასეთი იყო ჩვენი მოძრაობა კავკასიონის ქედლიდან შავ-ზღვამდე, თვით აფხაზეთამდე, და მგონი ეს მხარე, მთელი საქართველო, ამიერ-კავკასიაშია და არა აფრიკაში. — არა, ჩვენ არაფერ შუაში ვიყავით ამ ომის დროსა, ჩვენ მისი სფეროს გარეშე ვიყავით და მომავალშიაც არა გვსურს იქ შესვლა და მისი გამომღვიძებელი გავლენის განცდა, და გულწრფელადა ვსთხოვთ ყველას, ძალით ნურვინ გავგრვეს ამ ომის საქმეში! —

მაგრამ, აბა ვკითხოთ მეორე პუბლიცისტს, ბ-ნ კოტელნიკოვს, რას გვეუბნება! — მისი აზრით დემოკრატიზმი და ახალი ცხოვრების პრინ-

ციბები კავკასიაში სომხებს შემოუტანიათ, მათ დაუციათ ჩვენი და თათრების ფეოდალიზმი, ამიტომაც შეგვიძლება იგინი, მხოლოდ თათრებს პირდაპირ ომი გამოუცხადებიათ, ჩვენ კი, ჩვენდა სასახლოდ, ამით არ შეგვიტყვევია თავი და მხოლოდ უბრალო მტრობით დავკმაყოფილებულვართ. —საკვირველია სწორედ, —დემოკრატიული მისწრაფება ხალხისა ისეთის ჟღერითა და ომით თავდება, როგორც იყო სომეხ-თათართა შეტაკება! რაღაც უცნაური დემოკრატიზმი ყოფილა ეს სომხის დემოკრატიზმი და კოტელნიკოვი სომხებს ამით არა გვეონია დათვის სამსახურს არ უწევდეს. მაგრამ ამაზედ შემდეგ.

ალაროდელი.



\* \*

ვარღო ფურჩქენილო სურნელოვანო,  
 ნაზო ნარნარო პირ მშვენიერო,  
 ეშხით აღვსილო გრძნობა ცხოველო  
 სიცოცხლით საესე და ღმობიერო!..  
 ნეტავი ოდეს ჩემი მამულიც,  
 შენებრ იფურჩქნოს —  
 დაიყვავილოს,  
 და ერს დაცემულს —  
 მრავალ წამებულს  
 შეება მობეროს,  
 სხივი მოჰფინოს.

ი. ალულიშვილი.



უცნაური გაგონება.

—:—

— ვერ დამაჯერებთ, ვერა, ვერა! რაც გინდა მარწმუნოთ, რაც გინდა საბუთები მომიყვანოთ, ჩემი აზრი შეურყეველია!!

ყმაწვილი ქალი, რომელიც ამას ლაპარაკობდა, გაავზნისებულ ბავშვსა ჰგავდა, რომელსაც დედამა სცდილილობს დაუმტკიცოს, რომ კარში გასეღა ახლა შეუძლებელია, კარში ტალახია, ცივა და სხვა, ბავშვი კი თავის პატარა ფეხებს აპარტყუნებს იატაკზე და უსიამოვნო ხმით გაიძახის:

— მინდაა! მიიინდააა!!

დედ-მამის მდგომარეობა ბევრით სჯობდა ჩემს მდგომარეობას. მათი სცენა ბოლოს და ბოლოს იმითი თავდება, რომ ბავშვს კარგად მიართყუ-

მენ და კუთხეში მიაგდებენ. მე ეს არ შემეძლო და იმის მეტი ვერა მოვახერხებრა, რომ ჩაჩუმდი და თავი გვერდზე მივიღე.

ყმაწვილი ქალის ქმარმაც, რომელიც ჩემსა და ქალის ლაპარაკის დროს ყოველ ჩემს აზრსა, ყოველ წინადადებას ეთანხმებოდა და ცოლს ეუბნებოდა:

— დიახ, დიახ!.. როგორ არა, როგორ არა! მე შენ გარწმუნებ ქალო!

სახეზე შემატყო უსიამოვნობა, ცოლს საყვედურით გადახედა და თუთუნს მოუკიდა.

ყმაწვილი ქალი კი არ სცხრებოდა.

— ეგ გადაქარბებული ოპტიმიზმია, ოცნება, რომლის განხორციელება თქვენ თვითონ არა გჯერათ. აბა, ერთი მითხარით—ხმას უმატა ქალმა და სახეზე სიანჩხლის ალმა გადაურბინა — ერთი მითხარით, რისი იმედი გაქვთ? ან უკეთ რომ ვსთქვათ, ვისი იმედი გაქვთ? მიიხედ-მოიხედეთ, რას დინახავთ? ასე გასინჯეთ, ფიზიკურადაც კი წავხდით, დავპატარავდით, დავწვრილმანდით და რისი იმედი გაქვთ! რაში ჰპოვებთ ძალას?! რა საბუთებზე ამყარებთ თქვენ თქვენი არსებობის აუცილებლობას?! ოქნება ხალხის, გლეხის იმედი გაქვთ? თითქმის შეჰკივლა ქალმა — ჰა, ჰა, ჰა, ჰა! გლეხის ... ჩვენი გლეხების!! ჰა, ჰა, ჰა, ჰა!

მეტად გაანჩხლებული იყო.

ჩემი გაჩუმება შეურაცყოფდა ქალს და ამიტომ თავი ისე მოვაჩვენე, ვითომ მისმა სიტყვებმა მეტად მწარედ ჩამაფიქრა.

მატარებელი კი მიგვაქანებდა ტფილისისაკენ, ხმაურობდა, სტვენდა, ხან სიარულს უკლებდა, ხან სრულის სისწრაფით მიექანებოდა სივრცეში.

იმ დროს ეს მატარებელი და ჩემი ფიქრები საოცრად ჰგვანდნენ ერთმანეთს.

ხოლო ჩვენი ვაგონის კუბე ჩემს გულსა: ორივე დახურული იყო. ორივე ჰაერს თხოულობდა.

კუბეში სიჩუმე ჩამოვარდა. ქალის ქმარი სავარძლის კედელზე მისვენებულიყო და სთვლემდა. მისი გასუქებული, პურის ცომივით გალუებული სხეული, არაფრის გამომხატველი სახე, მთლად უშინაარსო არსება მისი მეტად შემძავდა, შემეზიზნა და დავაპირე ვაგონიდან ჰაერზე გასვლა, მაგრამ კვლავ მომესმა ქალის ხმა-მალაღი, ნაძალადევი სიცილი. — ჰა, ჰა, ჰა! ჰა, ჰა, ჰა! -- კისკისებდა ქალი და ვაგონის ფანჯარისაკენ გვიწვევდა. — შეხედე! შეხედეთ... ამათ... ჰა, ჰა, ჰა!...

წამოვდექი და ფანჯარაში გადავიხედე.

მატარებელი გაჩერებულიყო ერთ პატარა სადგურთან. მოსული და წამსვლელი მგზავრნი ერთიერთმანეთში არეულიყვნენ. ზოგი ვაგონიდან ძირს ჩადიოდა, ზოგი ზედ ადიოდა. მირბი-მორბიოდნენ, ჩქარობდნენ, ერთი-ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და ძალზე ხმაურობდნენ. მატარებლის ბოლოში რამდენიმე ქართლელი გლეხი, ხურჯინებ გადაგდებულნი,

გზა-დაბნეული ინდაურებივით ერთ ჯგუფად ხან ერთს ვაგონს აწყდებოდნენ, ხან მეორესა, მაგრამ ყველგან ერეკებოდნენ მათ კონდუქტორები.

გაფაციცებულნი, რომ მატარებელი არ დაძრულიყო და არ დარჩენილიყვნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ და ხმა მალლა ხმაურობდნენ. საიდგანდაც გაჩნდა სადგურის ყანდარმი და ქორივით დაერია გლეხებს: ზოგს კისერში წაართყა, ზოგს ფეხი წაპკრა, ზოგს ხლმის ქარქაში დაგლეხები გაფრთხნენ, გაიფანტნენ, შემდეგ ისევ შეჯგუფდნენ და როგორც იყო ერთი ღვთისნიერი კონდუქტორის დახმარებით ვაგონში შევიდნენ..

— ნამდვილი პირუტყვები არიან?—განაკრძობდა ქალი უკვე სერიოზული სახით—საცოდავი, ბეჩავი, უქუქუა და უახრო, როგორც ის ხარ-კამბეჩი, რომელსაც თვით ეგენი აბავენ უღელში, სცემენ, სტანჯავენ და არაფერს არ აძლევენ. მაგათთვის არც თავმოყვარეობა, არც პიროვნება, მისი დაცვა-შენახვა, მისი ღირსება—ნაკლუნევიანების შემეცნება. პირუტყვია, მამ რა არის?

— ქალბატონო... ქალბატონო... თქვენ სცდებით...

ამ ხმამ ყველა გამოგვაფხიზლა.

კუთხეში იდგა გადაფითრებული სახით და ანდერგული თვალებით ყმაწვილი კაცი, რომელიც ეს ორი საათი იქნებოდა, რაც ჩვენ კუბეში შემოვიდა, მორიდებით შეგვათვალა და რანახა, რომ მხოლოდ სამი ადამიანი ვისხედით, კუთხეში მიჯდა, წელში ჩაიკეცა და მთელი დრო უძრავად იჯდა.

იქნებოდა 20—22 წლისა, უბრალო, მაგრამ სუფთა ტანისამოსი ეცვა. სახე მზისაგანა ჰქონდა დამწვარი და ქუისა და სიმხნევის გამოძახებულ თვალებს ერთ წერტილს რომ მიაპყრობდა, დიდხანს არ აშორებდა.

მე დიდიხანა შევამჩნიე ყმაწვილი კაცი, მაგრამ ქალის ლაპარაკი ხელს მიშლიდა, ჩემი ყურადღება მაზე ოდნავ მაინც შემეჩერებინა.

ახლა ის იდგა აღელვებული, მთელი ტანით ცახცახებდა რე სულს ვეღარ ითქვამდა.— ქალბატონო, თქვენ სცდებით! თქვენ არ იცნობთ არც ჩვენს გლეხს, არც მის ცხოვრებას, მის სულსა, მის გონების ძალას და... მაპატიეთ, ლაპარაკობთ ისე ზეპირად, ზერელედ, როგორც ეს სჩვევია ბევრს ადამიანს, რომელსაც სურვილი დიდი აქვს, ყოველ საგანზე იმსჯელოს, იკამათოს, საგნის შესწავლა კი არ უნდა, ეზარება, მეტადა სთვლის. თქვენ სცდებით, ქართველი გლეხი ისეთი არ არის, როგორც თქვენს აზროვნებაშია გამოსახული.

— როგორ? მე არ ვიცნობ გლეხს? მე?!—გაიკვირვა ჩვენმა მანდილოსანმა და შემდეგ ირონიულად გადიკისკისა—ჩემი<sup>მ</sup> სიცოცხლის ნახევარი სოფელში გავატარე და მე არ ვიცნობ გლეხსა? ჰა, ჰა, ჰა!

უცნობი ყმაწვილი კაცი, ეტყობოდა, თავ-შეკავებასა სცდილობდა, მაგრამ ქალის უკანასკნელ სიტყვებზე უსიამოვნოდ დაიდმიჯა და უკმეხად უპასუხა:

— არამც თუ ნახევარი თქვენი სიცოცხლისა, თქვენ შეგეძლოთ, მთელი თქვენი სიცოცხლე სოფელში გაეტარებინათ, მაგრამ ეგ იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ იცოდეთ გლეხის ნამდვილი ცხოვრება, მისი სული, მისი პიროვნება.

უცნობმა სული მოითქვა, შუბლზე ხელი მოისვა და შემდეგი სიტყვებით უკვე მე მომპარა.

— თქვენ არ გინახავთ ქართველთ გლეხი სახლში, ოჯახში, ისე... სადაღ, თავის ანაბარა, აი ისე, როგორც თქვენა ხართ ხოლმე მარტოდ, უსტუმროთ. თქვენ გინახავთ გლეხი მუშაობის დროს, მაგრამ გინახავთ თქვენს ბაღში, თქვენ საქმეზე მომუშავე. როგორც ქირის კაცი, თავისი შრომის გამყიდველი, იქის უქუქუაა, უახროცა, ზარმაციცაა, ნახეთ ის, როდესაც თავის სამუშაოს ადგია ტყესა, მინდორში, ან თავის ოჯახში! მათ შორის დიდი განსხვავებაა.

—მე მინახავს ბუხართან ჩაფიქრებული გლეხი. მერწმუნეთ, დიდი პატივისცემა მიგვრძანია მისდამი. მსოფლმხედველობა მისი ვიწროა, იგი შორს არ მიდის, მაგრამ ამ ვიწრო ფარგალში მოქცეულ მსოფლიოში ის ფილოსოფოსია. თქვენ ამას ვერ გაიგებთ, დამცინებთ კიდევ, მაგრამ რა ვქნა, რომ თქვენ არ გინახავთ გლეხის ნამდვილი სახე, არ გინახავთ, როდესაც ის მარტოა, როდესაც მას თავს არ ადგია თავადი, მოხელე, მღვდელი, ბერი, თუ გნებავთ ინტელიჯენტიც, რომელთა დანახვაზედაც გლეხი ლოკოკინასავით მოიკრუნჩხება თავის ქერქში, ან სახეს იცვლის ვით დახელოვნებული კომედიანტი...

უცნობი გაჩუმდა. სახე თანდათან დაეწმინდა. აღარ ჰღელავდა და ახლა აღარც მე მიყურებდა—თითქოს, აღარავის აღარ ჰხედავდა, იმ გლეხის გარდა, რომელზედაც ის ლაპარაკობდა.

— მე ვიცნობ ჩვენს გლეხს, ვიცნობ კარვად და გული მტკივა, როდესაც მას პირუტყვით რიცხვენ და არავითარ ადამიანურ ღირსებას არ ჰპოულობენ მასში... ნუ თუ არ კმარა, რომ მას ყოველ მხრიდან ვძარცვავთ, ვგლეჯავთ, მუდამ თავში უკაკუნებთ, ეს ზიზღი, ეს სიძულვილი რაღა ღვთის წყრომაა. გლეხს თვისი საქონელი უყვარს. ამუშავეებს და უყვარს. ჩვენ კი გლეხს ვამუშავებთ და გვძულს, ეს იმიტომ, რომ ჩვენ არ გვინახავს გლეხის ნამდვილი სახე, მისი სულის გამოხატვა, გონების ნამოქმედარი. მის ცულ მხარეებს ვიცნობთ, კარგი მხარეების გაცნობა კი არ გვინდა. ჩვენ გვგონია, რომ რადგანაც გლეხი გარეგნულად ჭუჭყიანია, მისი სულიც, მისი არსებაც ჭუჭყიანი უნდა იყოს, ეს მომაკვლინებელი ცოდვაა, მეტიც, ეს

ბოროტმოქმედებაა. მე კი, იცი, რას გეტყვით?  
— ყმაწვილმა კაცმა წამოიწია და სახეში ჩა-  
მატკერდა.

— იცი? მე ჩვენს ინტელიგენციასაც ვიცნობ. იშვიათად, ძალიან იშვიათად შემხვედრია მე ინტელიგენტი, რომელსაც თავისი ბუნებით, თავისი მდიდარი შინაარსით გავეცვირებინე და ჩემში თავი ვანისცემა გამოეწვია, გლახებში კი ბევრს შეგხვედრია... ხშირად მინახავს გლეხი ისეთ გარემოებაში, როდესაც ის ისე გახდილა, გადიდებულია ჩემს თვალში, რომ მისი ძლიერი სული, ვაჟკაცობა, მისი ღირსი, დაფიქრებული მოქმედება შემხარბებია, შემშურებია და ჩემი თავი უბრალო ქიათ მამხვენებია, შემძულებია, პატივი ამიყრია. არა გჯერათ განა? — შემოგვეკითხა ის მწარე ღიმილით, რადგან ჩვენი სახე უზომო გაკვირვებასა და განცვიფრებას გამოხატავდა.

— გლახს რომ ბოსლიდან საქონელს გამოუ-  
რეკენ და გაუყიდიან—განაგრძო უცნობმა—ის მაშინ  
საცოდავი არსებაა. კანონისა და კანონების უსვინი-  
დისო ამასრულდებლის წინაშე ის უძღურია და  
საცოდავი სახეც აქვს. აი ახლა ამ ერთი წუთის წი-  
ნად თქვენ დაინახეთ, როგორ სცემდა ჟანდარმი  
გლახებს. გლახებს ხელი არ შეუბრუნებიათ, სიტყ-  
ვითაც კი არ განუცხადებიათ პროტესტი. რატომ?  
არ ეწყინათ? დამცირება არ იგრძნეს? მერწმუნეთ,  
მათი სული ამ წუთაშიაც შფოთავს და ვინ იცის  
ამდამ რა ღამე გაათენონ. მაშ რატომ? დასჯისა  
ემინოდათ? არა, დასჯის შიში გლახს არა აქვს, მი-  
სი შიშია: **დროს დაკარგვა**. იმას სასამართლოებში  
ათრევენ, სახლში კი ცოლშვილი მშვიერი დაეხოცე-  
ბა, რადგან ის ღლიური მუშაა და ღლიურ ლუკმა-  
ზეა დამყარებული. თუ ამას თქვენ თავის უარყო-  
ფათა სთვლით, პირუტყვობას ეძახით, მერწმუნეთ,  
ჩვენ უფრო ხშირად ვარდებით ამ გვარ მდგომ-  
არეობაში და ჩვენ უფრო გვამცირებენ და ვიმცი-  
რებთ თავსა! ეს მოთმენაა სხვა არაფერი და გლახიც  
ღიდი მომთმენია, ღიდი, და აი ამ მხრივ ის მართლაც  
წააგავს „თავის ხარსა და კამბეჩს“ როგორც ეს თქვენ,  
ბრძანეთ, ქალბატონო! ის ითმენს, სანამ შესაძლებე-  
ლია მოთმენა, და თუ მოთმინებიდან გამოვიდა, ის  
მაშინ თავმოყვარეცაა და თავ-მოშორე ვაჟკაციც,  
ხოლო მოთმინებიდან გამოვა, თუ მისი გულის  
მგრძნობიერ ადგილს შეეხეთ. ეს არის მისი **ოჯახი**  
და მისი **საკუთრება**.

სვ. ყიფიანი.

(შემდეგი იქნება)



# მეცხეაღი.

—:—

ჰე, მერცხალო, ენა ტკბილო,  
ვაზაფხულის მოციქულო,  
სოქვი, აბა რა მომიტანე  
სამაურ-სასიხარულო.

გული შენთან გამოვგზავნე,  
ზამთრისაგან წამებულო,  
ფრთებად ჰქონდა ჩემი რწმენა  
და სამშობლოს სიყვარულო.

გზის სიძნელით მოქანცულო  
მითხარ, მითხარ არ გინახავს?...  
ვაჰმე, ბედმა რომ იმსხვერპლოს  
უცხოეთში ვინ დამარხავს?

მაგრამ, დეე ჩემი გული  
სადაც უნდათ, იქ დამარხონ,  
ოღონდ ტანჯულ სამშობლოსა  
ვაზაფხული შევებით ამცნონ...

ი. ქუციანი



## ახალი მშენიერი სახე.

(„დორიან გრეი“ ოსკარ უაილდისა\*)

ვინც კი თვალურს ადევნებს ეგრძობის ეხანდელ  
ლიტერატურას, კარგად იცის, რომ იგი უარყოფით ეკი-  
დეა დევანდელს ცნობრებას და იმ სოფოქველს, რ-  
მეზედაც იგი აგებულა. ეს ლიტერატურა ეოგელივე  
დევანდელ დირებულებას—ეთაგურს, ესთეთაგურს, ზო-  
ლატიკურს და ეკონომიურს ხელ-ახლად იხილავს, ხელ-  
ახლად აფასებს და იძიებს ახლდის, მომავალის ზრინცი-  
პებს და იდეალებს.

ოსკარ უაილდი, ინგლისელი მწერალი, შთამამავლო-  
ბით ირღანდიელი, ერთ იმ უდიდეს მწერალთაგანს ეკუთვნის,  
რომელნიც ამ გზას ადვიან, მისი იდეალი **განახლებუ-  
ლი ელლინიზმი**—თავისუფალი ადამიანი, რომლის  
საღვთველ ხატად მშენიერება იქმნება.

ის მოთხრობა, რომლის შესახებაც მოგახსენებთ  
რამდენიმე სიტყვას, სუგუთერა გამომსხველია უაილ-  
დის სულის კვეთებისა.

დორიან გრეი— გმირი ამავე სახელის მოთხრობის  
სწორედ მშენიერების დმერთია. მისი მომხიბვლელობა  
ერთ არ ითქმის. ეს ახალი ტარიელია, ის ტარიელი,  
რომლისთვისაც ჩვენ დიდება რუსთაველს „ტრემლი სდის  
შეუძრბებელი“. ტარიელის არ იყოს, დორიანს განც-  
ვიფრებაში მოჭყავს ეოგელი მისი მხახველი, ისიც, ვისაც

\* ) წაკითხულია ქუთაისში 23 თებერვალს.

მშვენიერების დაფასებას, ასე ვსთქვათ, ზროფისათა აქვს გადაქცეული და ისიც, ვინც ამგვარებს უფრო გულ-გონივრულად კვიდება. ხომ განსოვით—ტარიელი როსტოვიანი შეიქცა კინაღამ არ გააკვირებს „მისინს შუქმან განანათლას სმეარო და ხმელთა კიდეა“, ამბობს იგი, ავთანდილმა: რომ ზირველად დაინახა და ისიც შორიდან: „ნუთუ მსგაო,“ სთქვა „ცისა“. თვით უბრალო შეკობრეთაც კი აღტაცებში მოიყვანს და ათქმევინებს, „მსგა სწორედ, ცას მოსწვევტია და ქვეყნად ჩამოსულა“.

ამგვარივე საუცხოო, გონებისა და გულის წარმტაცის სიმშვენიერით აუღ შეიქცეული დორიან გრეი. ერთხელ ერთ დიდგატურ სფანში დორიანს შეხვდება მხატვარი ბეზილ ჰოლმუდრი. ზირველ დანახვისთანავე ბეზილი შეიქმნება აღტაცებული თავისი სიმცხეული დორიანისა, ისე როგორც ავთანდილი ტარიელისა. დორიანის ნახვა და ცაცნობა მთლად ერთიანად შესცვლის ბეზილის ნიჭსა, მის ცხოვრებასა. მისი მხატვრული ნიჭი ახლად გაიფურჩქნება და გაიშლება. დორიანის გაგულების შედეგია ის, რომ ბეზილი იმნარ სარტარ სურათს დასტავს დორიანისა, ზირდაზირ გაატყებს ისეთს უინანის გემოვნების კაცსაც კი, როგორც ღორდ ჰინრია, ბეზილის ამხანაგი, დორიანი კი ამ სურათის შემწეობით ზირველად შეიგნებს თავისს ღვთაებრივ მშვენიერებას და ზირველადვე სეკდაინის სიტყვებით მიმართავს თავისს წარმტაც სურათს, რომელსაც ბეზილი მას სანუქრად მიართმევს: რა სამწუხარო მოგუენა! მე დავსტენები და დავბერდები, დავმხინჯდები და შევიქმნები სსზიზდარი, ეს სურათი კი სმარადიდოდ ნორჩი და მშვენიერი იქნება. თავის დღეში იგი იმაზე უხნესი არ იქნება, რაც დღეს არის. ნეტავი შესაძლებელი იქნება, რომ სხვაგვარად მოხერხდებოდეს! ნეტავი დაბერდებოდეს ეს სურათი და არა მე. ეს რომ შესაძლებელი იქნებოდეს, ამისთვის ჩემს სულსაც კი შეველეოდა“. ბეზილისა დორიანი გაიცნობს ღორდ ჰინრის და ძლიან დაუხლოვდება. ღორდი ჰინრი ნამდვილი მეფისტოფიელია ახლის დროისა. მისი მახილი, დამინიავი გონება გადაჭრილის უარყოფით კვიდება ეხლანდელი ცხოვრების უოველივე სარჩულსა და ზინინის, თანამედროვე წყობილებას დამზად ბოძებს სსზინელის სიმკაცრით აქცევს. ჰინრის თავბრუ დამხვევი გავლენა აქვს დორიანზედ. დორიანი ბავშვურას გატაცებით შეუდგება ჰინრის სასტიკ ირინით აღსავსე ზარადოქსების აღსარებასა და მის მოსწონად უნდა თავისი ცხოვრება მოაწიოს. ჰინრის აზრების ხელ-გავლენის ქვეშე, დორიანი ხელს მიუოფს თავისის მომხიბვლელის სიტურთის, ასე ვსთქვათ, გაფლანგვასა.

მშვენიერების მცლცხლებელი, მისი გამახლისებელი. გამაცლცხლებელი და გამომამჩნეული სიუვარულია და აი დორიანის ზირველი ნაბიჯი აქეთკენ არის მიმართული. ღონდინის ერთ მეორე ხარისხთან თაატრში გადაყვრება არტისტ ქალ სიბილას, რომელიც თითქო განკებ განკონილი იყო მის სატროფად. დორიანის სიურმის მთელი კმნობები სიბილასაკენ მისწრაფება. სიბილას თვით საუცხოო მშვენიერება და თანაც მომხიბლავი არტისტია.

გაცენობა თუ არა დორიანს მთელი თავისის გრძნობა - გონებით დემორჩილება, უკვდავ ვსთქვათ, დავუშინებს. უოველისფერი დაავიწდება სიბილას და მარტო ერთის გრძნობით არის მოცული მთელი მისი არსება. ერთ დღეს დორიანი მიიხატეებს თეატრში ჰინრის და ბეზილის, უნდა სიბილას თამაში აჩვენოს, გააკვირვოს ივინი და თვით თავი მოაწიოს. სიბილას სიტურთე და სილამსე ორივეს აღტაცებაში მოიყვანს, არტისტული მისი ნიჭი კი სრულიადაც აღარა სჩანს. დორიანს ეს გაბრაზებას, შეუვარდება სტენაზედ ანტრაქტის დროს და სსზინლად გაჰკიცხავს სიბილას ცუდას თამაშობისთვის. სიუვარულისკან დამწვარი ქალი ამას ეუბნება: დორიან ჩემო, დორიან—სნამდის თქვენ გაკიცნობდით, სტენაზედ თამაში იყო ერთად ერთი სინამდვილე ჩემს ცხოვრებაში. მსოფოდ თეატრში-და ვცოცხლობდი. მე თვით განვიცდიდი უოველივე იმას, რასაც წარმოვადგენდი ხოლმე, დღეს მე ვიყავი როზალინდა, ხვალ ზორცია. ბეატრისას სინარული ჩემი სინარული იყო, კორდელას ტანჯვა—ჩემი ტანჯვა... არა ვიცოდი რა და არასა ვხვდავდი ღანდის და ანდლის (მეტსა და ეს მეჩვენებოდა მე სინამდვილედ... და, აი მოხვედით თქვენ—ჩემო ბედნიერება-- და განათავისუფლეთ სსზერობილად ჩემი სული... თქვენ მომიტანეთ მე რაღაც დიადი, რაღაც ისეთი რამ, რომლის მხლოდ გამოსახულებაა ხელაფნება. თქვენ მავრძინობინეთ, რა არის სიუვარული“. მართლაც სიბილას ეხლა სსსცილოდაც არა ჰყოფნის სტენაზედ მანკვა-გრესა. როცა მთელი მისი ახლგაზხდა არსება რომელსაკენ მისწრაფოდა და სიუვარულს ელტვოდა, მამინ თავის ოცნებას ეთამაშებოდა, ოცნებას განხორციელებს უნდოდა, ხოლო რაკი დორიანში მოიხვოდა ისეთი რომეო, რომელიც მის ბავშვურ ფანტაზიას ვერც კი წარმოედგინა, თვით მის გულში მოზღვადა მთელი გრძნობა სიუვარულია და აღტაცებისა. დორიანი ამგვარის ახსნით არ დაჰყოფილდება და იმის შიშით, რომ მისი მეფისტოფიელის—ჰინრის გაქირდავას და დაცინებას ვეღარსად წაუვა—თვალ უუუუნა გოგოს მარტო სასემ რათ დავიმონავო—სსზინელის სისარტოით ხურკს შეაქცევს თეის ნესტან-დარეჯანს—სიბილას. თქვენ მე შედგამაში შემოვივინეთ, თქვენში მოვსტუედიო“, ასეთ მკაცრ სიტყვებს მახლის თავში და ხელს ჰკრავს მის სინახესთან სწორფელით აღსავსე სიუვარული გრძნობას.

დორიანი სსხლში გვიან დაბრუნდება. მაინც დილა გათენებისას კიდე სავარძელში იჯდა და ამ ამბავს დასტორიალებდა მისი ფიქრები. ხოლო, როცა მსემ ზირველი თავისი განმაცხოველებელი შუქი შეკზავს დორიანის ოთახში და ბუნების ამ საუცხოო ქმნილებას ოქროსფერ ხუჭუჭ თამაში ჩაეკანს, აბრტყევილად და ვითა რომელიმე ღვთაების შარავანდედით თავი შეუმოკ, დორიანმა ზირველ სინათლეზედ თვალი მოჰკრა ბეზილისაკენ დახტულ თავისს სურათსა. აქ მოხდა სსზინელი რამ საიდუმლოება. მართალი უნდა მოგახსენოთ, რამდენჯერ არ გადავიკითხე ეს ადგილი და სწორედ უოველთავს ტოცებული ვრჩებოდი. თვით სსზინელი სინამდვილის სს-

ხათა აქვს გადმოცემული უაღდეს სოციალური მოვლენა, რომელიც უოველივე სინამდვილეს მოკლებულია. დორიანს მისი სურათის დახასხავედ ელდა ეცა, ნახა, რომ ამ მის სხეს სიმკაცრის გამოქვეყნებებს მიუღია, ამის და მიხეობით უკვე თავისი მომხიბვლელობა ცოცხალი არ იყო და დაუკარგავს. თავზარდაცემულმა დორიანმა აღარ იცოდა, რა ექნა. მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ბეზილის ნიჭს, სიყვარულის და შეგობრულის აღტაცებით გამსჭვალულს ვადოსნური ძალა ჩაურთავს ამ სურათში. ეს სურათი მშვენიერების ხატი—მისთვის მთელის ეოფა ცხოვრების სელმდვანად შეუქმნია და დაუსხავს მის მადმერთებულ მისის სულის შეგობარს. ეჭვი აღარ იყო, ამ სხესეოდ სიმკაცრის და სისხტეის დალი აღიქვდა, მისი უკულო, უღუთო მოქცევა სიბილას მიმართ სურათს განხრდა და ერთ გვარად დაძმნევა მას.

შემთხვევაში თუ ბედმა სრულიად მოულოდნელად გამოეჩინა მისი სიტურფისა და სილამზის საღვთო-ველი სკანია—სიყვარული, მშვენიერის სიბილას სხით, მან კი გადასთელა იგი და ჯერ არც კი იცოდა, რომ მისმა უღიერმა საქციელმა ქალი წუთის სოფელს გამოასლმა. სიბილამ, სიყვარულის და მშვენიერებისაგან ერთის წუთით დაშორებამ, ერთის წუთით გაბედნიერებულმა ვეღარ მოათმინა სტრფოს გულქვამს და თავი მოაწამლა. დორიანს უნდაურმა სურათმა თვალწინ დაუქანა, თუ რა გარსნდელშია ღვთისკან მისდამი მიმდებელი დიდებული განძი, მისი ტურფა სიერზე, თუ კი დროზე თავს არ შეაკავებს. ხედავს, რომ ბიწიერება მის ხატებს განსწმნელი ბეჭედს უსვამს და ეოველივე წუთი ამ გარწმნელის განხილვის მისამსწავლებელი და შემქმნელი იქნება. მაგრამ ზირველი ნაბიჯი უფსკრულისაგან უკვე გადადგმულია. მან ზურგი შეაქცია მის შეგობარ ბეზილს. მის სულს და გულს, მის რჩევას და დარიგებას დადნებით მოზურობა დაუწყო. სიტკბობის თვალა მიაწოდა ბუნებამ და მის მაგიერ, რომ დაწოებოდა, ხელი ჰქონდა და ამგვარად უდალატა სიმშვენიერის მოთხრობილებს, ცხოვრების სისხრულის სწავლელს და კიდევაც იტემა ნაყოფი: მის სიმშვენიერეს ზირველი იარაღი დაწინა, ზირველი მღალი გაუჩნდა მის სიტურფეს, ზირველი მავა წერტილი გამოაჩნდა ამ მხანათობელ მსესს.

სიბილას სიკვდილი სსოწარვეთილებაში ჩაგდება დორიანსა.

ზირველად თუ სიტკბობებს და სურვილის დაკმაყოფილების ეტანებოდა დორიანი, ესლავ თავდავოქვებს ებიძებს. სურს ქეიფს და თავის გართობაში ჩაატანოს კვხეს გულისა, სეგდის ნაშთი, მისივე მოქმედებისაგან გამოწვეული. უოველივე მისი უშეგრი მოქმედება თვალწინ უდგია მის მშვენიერ ხატებსედ მკატრის დარების აღნიშნით. დაწვეებს სსოზღარ ადგილებში სიარულს, ბინძურ თავის გართობას ეძლევა. თანებში, სსიში, გულის ამრევი სარდაფები—უოველივე მისი მოქმედება არის მისი არსებობის, მისი სსოწარ მოქმედების სიმშვენიერის წინააღმდეგი და უარყოფილი,

ამ მშვენიერების დამდუბელი, ესლავ უკვე მას ის სსოზღარობა იზიდავს თავისის დემონურის ძალით, რომელიც მას უწინ გულს ურევდა.

სსოზღარობაში ათსკვარი მითქმს-მოთქმას. დორიანის ეოფა-ქცევა სსოზღარობის ერთსულ ზროტესტს იწვევს. დღევანდელ ცრუს და ელბ სსოზღარობას, ამ „კრებულს უმსკაცობისს“ მის ეიების დორიანისთან განსაკუთრებული ზირადობა ურადლებს არ მიაქცევდა, მაგრამ თვით მის ჰეავს თავისი უღმობელი, სსოტიკი მსაველი— მისი სურათი განცალკევებულ თასში უკვდა და ზშირად ინახულებს სოლმე: ხედავს, რომ თან და თან ფუჭდება; სსე მისი სურათის სსოზღარ გამოქვეყნებას დებულბს. სურათისთვის დორიანის ბიწიერება იგეევა, რაც ჰია-ღუა ადამიანის სსეულისათვის, რომელსაც გარწმნელება ეზარება. თვით დორიანის სსე და შეხედულება კი უცვლელის, ნორჩის მშვენიერებითა შემკული, ეოველ შემთხვევაში, ამგვარად ეხვეება ვეღას მის ნაცნობს, რომელთათვისაც, შესაძლებელია, შეუმსწველი რჩება, ის ნაზი, ჩეულებრივ მსედვლობისთვის ვერ მისაწლამი იარა და კვლი, რომელსაც დაღთ სსეავს მას მისი ბიწიერი ცხოვრება. დორიანის უნდაური ამბებით თავზარ-დაცემული ბეზილი მობირენს და ზსუსს მოსთხვავს. არა მრწამს, შენმა მშვენიერმა სსეემ, შენმა დგობირებმა სიტურფემ, შენმა სილამზემ, რომელიც „სსოწარლთა სსოწარლად“ მიგვანია მე და ჰენრის, რამე სიბინძურის ჩადენს მოახერხოსო. დამამჟიდე, მითხრო, ეველადიერი ტველია, მეტი არა მინდა რა, წავალ სრულიად გულ დაჯერებული და დაწინარებულიო.

ზსუსხის მაგიერ, დორიანი წაიფანს ბეზილს სსილუმლო თასში. სურათს ჩამოხდას მდიდარ და უცხოფარდას და ბეზილს თვალ წინ წარმოუდგება ნაყოფი მისის აღტაცების და თავგანსცემის დორიანის მშვენიერებისადმი—ნაყოფი მისის დრმა გრძობის დორიანისადმი. ბეზილს კინაღამ დაძლავა არ დაეცემა. სილამზის წილ სსოწარელი სსოზღარობა წარმოუდგება, ბეზილს არა სჟერა, ბეზილი გონს ვერ მოსულა. ბეზილი ჰხედავს, რომ დადუბულა არა მარტო დორიანი, ამიერიდან დადუბულია თვით მისი ნიჭი მსატერის და შემოქმედის, მისი იდელები და გადმერთება მშვენიერების ფესქვემ არის გათელილი. ბეზილის სსოწარვეთილებით გზარდაბული დორიანი კი ბეზილს ამ თავის „მე“-ის სსეუთესო მერე ნახევარს დასს ჩსცემს და სიცოცხლეს მოუსძობს. ამ მკვლელობით იგი გზიდან ჩამოიშორებს მის გულს, მის მადმერთებელს, მისი მშვენიერების განმაცხოვრებელს და განმხორციელებელს, მის შეგობარს და ამ გვარად თავისი სიცოცხლეს კიდევ უარესად დაამახინჯებს. სურათმა ეს სსოწარლება თავზარდაცემემის სინამდვილით აღნიშნა დორიანის ხელებს სისხლის წვეთები გამოაჩნდა.

დორიანი ამის შემდეგ თავბრუ დაძმევის სისწრაფით მიუქნება სიბინძურეს, სიღუნტურეს და უმსკაცობის მორეგში. თვით მისი შეიფტოფელი, ჰენრიც კი ეუბნება: „ბორცტიმოქმედება არ შეეფერება მშვენიერს არსებასო, ვინაიდან იგი უმსკაცობას, უმსკაცობას თა-

ვის თავად ბორტ-მოქმედებას, ხოლო ბორტ-მოქმედებას სხვას გარდა უმსგავსებდა. კაცის კვლა ეოველთვის დიდი შეტეობაა. თავის დღეში თვით არ უნდა ჩაიღონ რა, რის შესახებაც თავისუფლად ლაზარაკი არ შეგიძლია ხასაღივეს. ბორტ-მოქმედება—ეს უზიარტესობაა, რომელიც მხოლოდ ნაძირად კუთვნილებს შეადგენს. დორიანი კარგად ჰქნდავს, რომ თავისი გაუგებრობით თავისი მშვენიერი ცნობრება წაბილწა. შედის თავის სამჯავროში, შეხედავს მის სურათს, რომელსაც კიდევ მეტი სსზიდრობა აღებუჭდა, თუმა აქა იქ კიდევ მისჩანდა ნაშთი მისი ხელთუქმნელის სიმშვენიერისა, მაგრამ ეს ხასხა სიტურფისა, მარგალიტს ჰგავდა, ტალახში მისვრილს. დაქსნული ცდომილი იმავე დანას მისწვდება, რომლითაც თავისი უცხო მეტობარი მოჭკვლა და თავის სურათს ჩაჭკვავს. მეორე დღეს დორიანს ხახვენ გულ განგებრულს, მისი სურათი კი თავად წინ წარმოუდგებოთ ისეთისავე მომხიბვლელების და მომუჯადობელების, აღმტაცებელის და კასაცარის მშვენიებითა და სიტურფით, როგორც იგი იყო შექმნის ზირველ დღეს.

არ გამოვეკიდებო უნაურის დამოკიდებულების ხსენსს, რომელიც არსებობს დორიანის ეოფა-ქცევას და მის სურათს შორის. თავის-თავად ცხადია, რომ აქ სურათი კი არ იცვლება, იცვლება თვით დორიანი, ხოლო სურათი თვით სატენებო სიტცხლით იყო აღსავსე, და მასთან შედარებული სახე დორიანის თვით ეოველკვარ უმცირესს განსხვავებასაც ნათელს ჰყოფდა. ის, ვინც ეოველ-დღე ხედავდა დორიანს, რასაკვირვლია ამ ეოველწუთურ ცვლილებას ვერ შეამჩნევდა. ხშირად ჩვენი ხანობები, რომელთაც ოცნს და ოცდაათ წელიწადს ვიცნობთ, უცვლელი გვგონია, თუ რაიმე მეტის მეტად თვალსჩინო არა დეტეო რა მათ სსხეს. დორიანი კი 38 წლისა იყო თავი რომ მოიკვლა. ამ ხანაში კი არა თუ არაფერი შესამჩნევი ცვლილება არა ხდება უარესობისკენ ვაჟკაცის სახეში, თანდათან წარმტკობაც კი შედის. თვით ბეზილმა, ამ ჯადოსანმა შსატვარმა, დორიანის სახის ცვლილება მამინ დაინახა, როცა მის მსტვრობას გვერდით ამოუდგა დორიანი და შეადარა ერთმანეთს ხატებს და ცოცხალი არსება.

შესაძლოა ისიც, რომ დორიანის უმოკველო სიტურფე და სილამაზე ფიზიკურად განიცდიდა და გრძობდა ეოველივე ცვლილებას სახეზე და იმდენზედ ნათლად, რომ ახრით სურათზედ გადაჭქონდა ეს ცვლილება.

როგორც გნებავთ ისე გაიკეთ ეს საიდუმლოებები აღსავსე ცოცხალი სინამდვილე—ჩვენ ერთი ვიცით მხოლოდ: დორიანი იღუპება მარტო იმიტომ, რომ დღაცობდა თავის სიმშვენიერეს, ამ სასწაულთა სასწაულს „ჯეროვანად არ ეპერობდა და მის კანხებს არ ასრულებდა“. დორიანი იღუპება კიდევ იმიტომ, რომ იმ დროში და ხანაში, იმ სსზოცადობაშია, რომლის წესწეობილებაში სიბინძურე და უშვერი უმსგავსებობა გაბატონებული, სიტურფესა და სილამაზეს აღვრიდა არა აქვს: მშვენიერებას უთუოდ ტალახით შესურთან და შეითთხინან. ასე, ნახი ია გაურიეთ იმნაირ თაიგულში, რომელიც არა სსსამოცხნო სუნის ევაფილებიდანაა გაკეთებული, ეს ევაფილები იის მომხიბუ-

ლელ სურნელებს მსწამვლენ; გერე, კეთროვანთა შორის ჩავარდნილს ხსელგაზდა ნორჩს არსებას უსათუოდ დამღუპველი სენი გადაელება, ასე, წმინდა ცრემლი ბინძურ ტბაში უსათუოდ ჭეჭეს მოკიდების.

არა ერთხელ იმეორებს უაღლი თავისს ნაწარმოებებში: „დღევანდელი სსზოცადობა წითელ წამისსსამში გამოხვეული კეთროვანაა, ერთი მოვარაუებული მძროია მთლად ერთიანად სიუალებითაა განქცენილია“. თავისუფლის კაცის მშვენიერი ცნობრება, განახლებულ ელლინაზმის გამოფება და აუვაება შეიძლება მხოლოდ მამინ, როცა დაირღვევა დღევანდელი წეს-წეობილება კერძო სსკუთრებაზედ აღებული. როცა თვით სსზოცადობა იქმნება ზატრინი ეოველივე ცნებისა და სიმიდრისა და როცა აღარ იქმნება დარბი, მონა, დავლანკებული და დამხინჯებული. მხარული, უდარდელი ცნობრება შეუძლიან თავისუფალ მშვენიერ აღმამანს და ეს არის მისი დანიშნულება. მაგრამ დღეინდელ ზირობებში ზოგაერთისთვის შესაძლო მხარულეობაც კი აღკრძალულია. ვინც რუსეთში დღეინდელ კარკობაში მხარულად და უდარდელად ცნობრებას ჰუოქრობს, ამბობს უაღლი, იმან ან არ იცის, რომ აღმამანს გული აქვს და თუ აქვს, არ იცის, რომ აღმამანს გულს წარმტება და განვითარება ეჭირება.

ამ მოთხრობის არაკის გადმოცემის დროს, მე არა ერთხელ მოვიხსენე რუსთველის უკვდავი ზოემა. მე ეს განხრახ ჩავდიხე. მართლაც მსოფლიო ლიტერატურაში, უაღლი კარდა, არ ვიცი რუსთველისმეტი მწერალი, რომელსაც ვაყის სილამაზე და სიმშვენიერე იმ სიამდვილდის აუვაანს, და იგი დვთაბორავ ძალად ხდება, სსწაულ მოქმედად, სიტცხლის წყაროდ, ჩვენი მოქმედების ხელმძღვანელად და კომპანად. მართლაც ტარეელის სიმშვენიერეს უფრო მდლა აუენებს ავტობი, ვიდრე ნესტინასს და უფრო დიდ მნიშენელობას აძლევს. ტარეელის სილამაზე ისე მიიტაცებს ავთანდილს, თვით თავისს მზის დარს თინათინსაც კი მიატრეებს დროებით. ავთანდილიც დვთაბორავის გრძობითაა გამსჭვალული ტარეელისადმი, ავთანდილი ტარეელის სული და გული ხდება, მისი მარჯვენა ხელის როლს თამაშობს ტარეელის იდეალის ძეობაში. უავთანდილოდ ტარეელი, სსწარკვეულია რანდი იქნებოდა. ავთანდილმა მხარი მისცა და ავთანდილის წყალობით ტარეელმა მიაღწია მისი მშვენიერების სასწაულ იდეალს, მის ზედ-დამატებას. თავის მხრავ ტარეელის ზედ-გავლენის წყალობით ავთანდილის ნაჭი საცნრად განვითარდა. სავმაა შეადართ ავთანდილის ზირველი წერილი „მათა მიმართ“ და ტარეელთან დამკვობრების შემიდგ დაწერილი მისი „ანდერძი“ რსტენის მიმართ. ზირველი თათქმის ბავშურთა ნაწარმოებთა, მამინ როდესაც მეორე ზღვაა ახრისა და გრძობისა. ბეზილიც ხომ ავთანდილივით იყო დორიანისათვის. ბეზილმა ზირველად გადაუშლად დორიანს მისი დვთაბორავი მომხიბვლელობა, ამ მომუჯადობელის სილამაზის ზედ-გავლენის ნყოფი იყო დორიანის უნაური და საუცხნო სურათი. ბეზილმა ხელში მისცა დორიანს მისი ცნობრების სადავე და მისი

სახელმძღვანელო. დორიანმა კი, დორიანმა თავისი მხრით თავისი წარმტაცის ნორჩი სიტურით ბეზიდის მსურველს ნიჭს ახალი წყარო უჩვენა შემოქმედებისა და უმადლესს საივეხურხედ აიფანა მისი მხატვრობა. ბეზიდმაც იგივე პრინციპი დაუყენა თვალწინ დორიანს. სხვა გვარად სურათით გამოხსნულია, რასაც ავთანდილი აღიარებდა თავისი მრწამსად და სხვასაც უქადაგებდა: „სინრუე და ორპირობა აჩვენებს ხორცსა, მერე სულსა“ ამბობს იგი თავის „ანდერძში“ და „დორიან გრისი“ მთელი აზრად მთლად ერთიანად ამ ლექსით გამოხატება. ბორაკ-მოქმედებ, უმსგავსობა, სიბინძურე სიმშვენიერეს ასევე წარუხატველ დადს და ეს დაზანებული სიმშვენიერე იწვევს სულის მწარე ტანჯვას და ვაებას, რომელი უცნაურის კატასტროფით თავდება. თუ დორიანს ხელი არ ეკრა\*) ბეზიდისთვის, იგიც ტარადივით განხორციელებდა ბუნებისგან მისთვის დასახულს იდეას მშვენიერებისას, სიხარულისას და სიუყვარულისას. მაშასადამე სიმშვენიერე თვითვე პრინციპია ცხოვრებისთვის და კიდევ მეტა, როგორც სათქება ერთისთვის და სინდისის ქეზანა—მუკრისთვის—ამბობს უაილდი და ამ მშვენიერების გადმურთებას ემსახურებდა მისი სუცხოვრო მთხრობა.

სამწუხაროდ ქართველების ცხოვრებიდან უაილდმა მარტო „ქართული სამოვარი“ იცოდა. ჩვენი მდგომარეობა დღეინდელი ისეთია, რომ ქართველებს „მეკობრები“ ზირტუეებს და ძაღლებს გვეძახიან, უცხოელები კი მარტო „ქართულის სამოვრით“ გვიანობენ, თუმცა, დემოტიკა იცოდეს, ჩვენ თავისდღეში არავის არ შევცილებივართ ასეთს დიდებულ „გამოვრებს“. ხოლო ჩვენი ცხოვრება რომ სხვა ზირბებში იყოს, შესაძლოა უაილდი ჩვენის გენიოსის ნაწარმებს გაეცნობოდა და ეჭვი არ არის მაშინ თავის შესანიშნავ მოთხრობას ეპიგრაფად რუსთაველის სიტუეის წაუძღვარებოდა: „სინრუე და ორპირობა აჩვენებს ხორცსა, მერე სულსა“. რასაკვირველია, დიდი განსხვავება რუსთაველსა და უაილდს შორის. რუსთაველი იმ ხანაში სწორდა, როცა ახალი ცხოვრების შენობა გამაგრებული იყო და იგი კმაყოფილი და ბედნიერი მშვენიერების განხორციელებას შესაძლოდა ხელავდა იმ ცხოვრებაში. ამიტომაც მისი ტარადი თავისი იდეას მიაღწევს. უაილდი კი ვერაზის ცხოვრების იმ ხანაში იყო, როცა იგი ცხოვრება განწყობისა და დაცემის გზაზეა, ამიტომ ასეთს ზირბებში სიმშვენიერე ვერც ხარობს და ვერც ეწევა ბედნიერებას.

ეს მოთხრობა უაილდის კერძო ცხოვრების ერთგვარი წინასწარმეტყველებაა. უაილდის სწორედ მშვენიერების ძიებაში დაიდუნა: გრძობისა და მშვენიერების

\*) თუ გაიხსენებთ ტარიელიც ძალიან გულგრილად ეკიდებოდა ავთანდილს. და თითქმის ვერც კი შეიგნებს საესებით მის ზალად გრძობას. ტარიელიც ცოტა არ იყოს „შეშლილ“ გულ გრილი გახლდათ. გაიხსენეთ „არ გული უაილდის ფიცის და პირისა გასრულებასა...“ იგი შეშლილ მოელის მართ დღეთა შემოკლებასა... „შეშლილ კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“.

განხორციელებას ელტვოდა, მაგრამ დღეინდელ გარეუნილსა, გათახსირებულსა და მამონას მადმურთებელ სავოგადობაში ვერ მიახერხეს ეს. თვით ამ სავოგადობამ გასვარა თავის ტალახში ეს სამკვლითო, შესანიშნავი მწერალი. უაილდის ცხოვრების სიმბოლოური გამოხატვა ღონდონში გამოცემულ მის თხზულებების ედაზეა აღნიშნული. იქ თურმე\*\*) დახატულია ცალმხრით გალია, რომელშიაც ფართხლობს ზღვის ჩიტი, მერე მხარეზე კი ჩიტი გალიიდან განთავისუფლებულია და ცაში ობოლ ვარსკვლავს თავზედ ევლება. უაილდის სიტატხელე გალიაში ჩამწევი ული ჩიტი, დღეინდელის უმსგავსობისაგან ეოველ დიდ და განსაკუთრებულ ადამიანის წინაშე აღმართული გაუგებრობისა და დევნის კედელი—გალია გახლავსო. უაილდის სიკვდილი გალიიდან განთავისუფლება იყო: მისი სოცარი ნიჭი, მისი წარმტაცი, მომხიბვლელი ნაწერები თავს დასტრიალებს იმ ობოლ ვარსკვლავს, რომელსაც სხელდას ჭქვია: ცხოვრება ყოველგვარ ბორკილებისაგან განთავისუფლებულის ადამიანისა, რომელიც ღვთაებბრივად დაისახავს სიტურფესა და სიმშვენიერესა.

კიტა აბაშიძე.



### დაიხარა ამაყი თავი!...

ყური დამიგდეთ! მინდა ვიამბოთ პატარა ზღაპარი, ცხოვრების გულიდან ამოგლეჯილი, მის კენესით შეთხზული, მის ცრემლებით ხორც-შესხმული, ცხადათ-ქცეული. ქვეყნად სცხოვრობდა მეტად მდიდარი, მეტად ძლიერი ერთი ვინმე.

იმის სიმდიდრეს, მის სიძლიერეს შეადგენდა მხოლოდ ერთი რამ: მას მხრებზე ება მალამაქერი ამაყი თავი...

ჯერ არავის წინ, არაფრის წინ არ დახრილიყო იმისი თავი.

მიწას ვიღოდა, მაგრამ თავი მალა ეჭირა.

არავინ უწყის, ბურჯად ედგა მას სიჭაბუკე, მიტომ არასდროს არ იხრებოდა იგი მიწაზე, თუ ჯერ ცხოვრება თვის სიმძიმით არ დასწოლოდა მის სიამაყეს და თავის სასტიკ ძალის წინაშე არ დაეხარა შეუპოვარი.

მართალი არის, თვით ცხოვრება ჯერ არ ენახა, მაგრამ ცხოვრებაში და მის გარშემო ბევრი ეგემნა, რაც სხვა მომაკვდავს განა მარტო თავს ახრევენებს, არამედ სტანჯავს, მარად აწამებს და სიცოცხლესაც ხშირად ასაღობს.

\*\*) იხ. დიონეოს წერილები „რუსკოე ბოგატსტვო“ 1908 წ.

ხშირად ფეხებზე ეხვეოდენ შავი გველები, იკლანკებოდენ მის გარშემო, იგრიხებოდენ, ის კი მაინც არ დაჰხედავდა ამ ქვემძრომლებს; თავს არ დაჰხრიდა, არ დაჰხრიდა გველთა წინაშეც; ისევ იქ, მალლა გასცქეროდა ამაყურ სახით, თითქოს ვარსკვლავებს უღიმიოდა, ალერსს უძღვნიდა, თითქოს ცად ჰფრენდეს ანგელოზის მსუბუქი ფრთებით და ველარ გრძნობდეს გველთა ხვევნას ფეხებ გარშემო.

გულს ჩაენერგა ნორჩი კოკორად გრძნობა ტრფობისა. იმის სინაზეს თითქოს ჯერედ არ შეხებოდა ქალწულის ხელიც; ჯერ განთიადიც არ დამტკარიყო იმისი სუნთქვით, მის სურნელებით; ჯერ დილის ნიაგს არც კი ეკოცნა მორცხვად შეკუმშულ მის ფურცლებისთვის, რომ მას უეცრივ ეს ნაზი გრძნობა მოსწყდა გულიდან ვით ცრემლი მწარე; ხალხს დაეცა, მისგანაც კენესით ვით მარგალიტი ძირს ჩამოგორდა, მიწას ემთხვია და ამ ამბოროში უკვლოდ გაჰქრა ეს წმიდა გრძნობა...

მაგრამ ერთხელაც არ დახრილა ამაყი თავი, რომ დაენახა თუ სად გაჰქრა კენესა გულისა; ობოლი ცრემლი გაატანა დაკარგულ გრძნობას და ის აკმარა თანა მგზავრად გამქარალსა ტრფობას...

მის თვალები კი მაინც ცაში მისჩერებოდენ! თითქოს უნდოდათ დაეთვალათ მის მშვენიერსა. ამაყი თავით ისევ მალლა იცქირებოდა, თითქოს ქვეყნის ბედს ჰკითხულობდა ვარსკვლავთ სხივებზე ..

\* \* \*

უცნობმა ხელმა თავს დაადგა დაფნის გვირგვინი, უცნობ ხელითვე საუცხოვოდ, კოხტად დაწნული, მაგრამ ამაყმა არც დიდების ქვეშ დაჰხარა თავი, უფრო ამაყად, შეუბოვრად ასწია მალლა, თითქოს ჰლამობდა თვით ღმერთებთან დაახლოვებით...

ძირს ჩამოვარდა მისი დიდება—დაფნის გვირგვინი, ფეხქვეშ გასთელა შიგ ჩაწნული ხალხისა გრძნობა, მაინც ერთხელაც არ დაჰხარა იმისთვის თავი, ისევ მალლა ცას მისჩერებოდა, თითქოს იქ სჭვრეტდა ყველას ბედ-იღბალს, თითქოს უნდოდა მოეკრა ყური ღმერთთა იღუმალ ბაასისათვის.

იმასა ჰყავდა მეგობარი დაუვიწყარი; ქირშიც და ლხინშიც ერთგულობდენ ვით ძმად-ნათესავს.

ერთ შავ-ბნელ ღამეს იმის მეგობარს მიჰპარებოდა ჩუმად სიკვდილი; წყნარად ეკოცნა და ამ კოცნაში უკანასკნელად ამოასუნთქა.

როცა სიკვდილის მსხვერპლად ქცეული, საფლავში იდო მის მეგობარი, იგიც მივიდა, რომ საფლავამდის არ ელაღატა მეგობრობისთვის.

ამოიკენესა, ცრემლიც დაჰღვარა, სახეზე ქმუნვა გადეთვარა, მაინც საფლავში არ ჩაიხედა, ძირს არ დაჰხარა ამაყი თავი. ერთი კი უთხრა:

— მშვიდობით ძმაო!

თვითონ კი მალლა მისჩერებოდა, თითქოს

ლურჯის ცის, მზისა და მთვარის ტყვედ შექმნილიყვენ მისი თვალები.

სწრაფად და უჩინრად მიჰქროდა დრო; სწრაფად და კვლ-დაკვალ მისდევდა სიკოცხლეც. მის გაუვალ გზებზე, ხრამებზე, კლდეზე ვიღოდა ჰაბუკიც ამაყურად, შეუდრეკელად.

არც შიშის წინ, არც სიფრთხილის წინ არ დახრილა იმისი თავი, ისევ ცაში გასცქეროდა ამაყურად, წარბ-შეუხრელად და ბავშვივით სჯეროდა, ღვთისნიერ ადამიანივით სწამდა, რომ ისე განვილიდა თავის სიკოცხლეს თავ-დაუხრელად, ღირსეულად და ამაყურად.

ერთხელ ასეთ მიჯნაურობის დროს წაადგა ჰაბუკი უშველებელ მდინარეს, სისწრაფით მონავარდეს, მქეპარეს. მქუხარეს, თეთრ ქაფად მღულარესა.

ჰაბუკს ესხა ოცნების მარჯვე ფრთები, მაგრამ ასეთ მდინარეზე ოცნების ფრთებით ვერ გადადიან.

იგი იძულებული იყო ისევ ფეხით გასულიყო მეორე ნაპირს.

შეუწუხებლად, დაუფიქრებლად შესტოპა მდინარეში. მარჯვეთ და ამაყად მიაპობდა იმის მძლავრ ზვირთებს და მიღწია შუა გზასაც შეუბოვარმა; გამარჯვებულივით მან გაჰხედა მდინარის მეორე მალალ ნაპირას და უეცრივ იმის თვალებს დაესხა მომხიბლავი რალაც ზღაპარი:

ბედნიერება ნაზ ყვავილად იქ იშლებოდა, სიყვარული ტურფა ვარდათ იფურჩქნებოდა, სიცილიც, ღიმილიც ყვავილსაც, ვარდებსაც დილის ციურ მარგალიტად ენამებოდა.. კენესა და ტირილი მორცხვ ბალახად ვარდების ბუჩქებ ქვეშ იმალებოდენ და იმათ ფურჩქნაზე, სურნელათ ქვეყაზე ისინიც ჰხარობდენ, ილიმებოდენ.

შეჰხედა ჰაბუკმა—მეტად იამა, თითქოს ჩასუნთქა გულში იამა.

მშვენიერებით მოხიბლულმა მან გაჰხედა მეორე ნაპირსაც, რომელსაც წინედ ყურადღება არ მიჰქცია და დაინახა იგივე ვარდები, ყვავილები, იგივე ბალახი, კოხტა ბუჩქები; მათშიც ჰყვავდა ბედნიერება, სიამე ტკბილი და სიყვარული.

კოხტაც შემკული ორივე ნაპირი სილამაზეში, ზღაპრულობაში თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდენ; თან ერთმანეთის სიტურფავესაც ტრფობით უმზერდენ, ქებას ასხამდენ.

გაოცდა ჰაბუკი: ვინ მოჰმალლა ამდენი მშვენიება, ამდენი სინაზე, მომხიბვლელობა ამარე-მარეს? ნუ თუ ამ მდინარემ აღმოაცენა ესოდენ ტურფა მცენარენი და ყვავილები? ნუ თუ მის ქუხილმა, ტალღათა ქმენამ შექმნეს ეს უცხო ჰარმონია ამ ნაპირებზე? მან ელვასავით გადაავლო თვალი მდინარეს და რა იხილა! — თითქოს მზე მასში გადმოსულაო თვის მადლიანი სითბო და შუქით, მთვარეს ცად თითქოს ის გაეხადოს—იმის ტალღებზე დასრიალებდა, ვარსკვლავთაც თავის მშვენიების მონად

თითქოს იგივე ამოერჩიათ, თითქოს ღვთის მადლიც იმის ტალღებში რალაც ნათლად ჩასახულიყო და ანგელოსნიც ციურსა ჰიმნებს აქ უერთებდნენ ტალღების ქშენას.

მოიჯადოვა ამ სურათმა ქაბუკის გული და მოისურვა მდინარეში ღრმად ჩაეხედა, რომ უფრო კარგათ დაენახა ყველა მშვენება და დაესწავლა მომხიბლავი, უცხო ზღაპარი.

დაჰხარა თავი.

ჩაჰხედა მდინარეს და... გულში იგრძნო მხოლოდ ტანჯვა, მძიმე ნალველი.

ალარც მზე სჩანდა, ალარც მთვარე, არც ვარსკვლავები; ალარ ნაზობდნენ ყვაილები, დასქენენ ვარდები: გაჰქრა მშვენება, გაჰქრა ზღაპარი, როგორც სიზმარი. მაგრამ სანაცვლოდ დაინახა მან თვით მდინარე, მან დაინახა მთელი ცხოვრება, ჩაჰხედა გულში.

მდინარე ყოფილა თურმე ცრემლები—სიმშლიში, წუხილში, ნატვრაში, წყურვილში კვნესით შობილნი, ერთად შეყრილნი, მდინარედ ქცეულნი.

ტალღათა ქშენა, მათი ქექა, მათი ქუხილი—ეს ხომ თვით კვნესა, წუხილია მრავლის გულით ამომხდარი ტანჯვა-ვაებით ცრემლთ მდინარესთან შეერთებული მის ტალღების ხმათ.

უფრო დაბლა დაჰხედა მდინარეს, უფრო ღრმად ჩაჰხედა იმის გულს.

აგერ. მთელ მდინარეს მოსდებია თეთრი ქაფი, ტალღების მოუსვენრობით წარმოშობილი—ეს სიზმრებია, ტკბილი სიზმრები ცხოვრების ზევით ქაფად-ქცეულნი.

ქაფის ძირს კი—უფრო ღრმად გველ-ბაყაყნი მოეხევენ ფეხებ-გარშემო—ეს ადამიანის გრძნობათა, მოყვასისადმი სიყვარული, პატივისცემა.

მდინარის ძირზე კი მრავალ ლოდებით ეყარენ განუზორციელებელი ოცნებანი, გაცრუებელი იმედები, ლოდებ ქვეშ კი ღრმად ეყარა წვრილი ქვიშა არნადითაც დაუხვეტავი—ისინი იყვენ ფიქრები ადამიანისა მთელ სიცოცხლში.

ამ შემადრწუნებელმა სურათმა უფრო დაიმონა ქაბუკის გული, მან კიდევ უფრო ღრმად ჩაჰხედა მდინარის გულს და უეცრივ იმის ფსკერზე დაინახა თავის სახე, საშინელი სახე...

იცრემლებოდა, ჰკვნესოდა მწარედ, ქვემძრომელი გრძნობებით გულში, ლოდათ ქცეული იმედებით, ქვიშად გაბნეულ აზრებით.

მას შეეშინდა თავისი სახის; მას შეჰზარდა იგი, მაგრამ თვალი კი ველარ მოაშორა და უფრო დაბლა, უფრო ღრმად დაუწყია ცქერა ამ მდინარის ფსკერს.

შორს საღდაც კი ბოროტმა სულმა სასტიკად და მწარედ გადაიხარხარა:

- დამარცხდა თავხედი!...
- დაიხარა ამაყი თავი!...

დიად! დაიხარა ამაყი თავი!

იგი ხარბად ჩასჩერებოდა ცხოვრების გულს, მდინარის ფსკერს, ფსკერი კი უფრო ღრმად ედებოდა, ფართოვდებოდა და ბნელდებოდა.

ღრმად გზავნიდა თავის თვალებს ამ სიბნელეში, მაგრამ მინც ვერ აღწევდა იმის დასასრულს.

გულს ურევდა ეს საზარი სანახაობა, მაგრამ თავი მიც მალლა ველარ ასწია.

დიდხანს იდგა შუა მდინარეში...

დიდ-ხანს ჩასცქეროდა იმას სიღრმეში...

ველარც კი შეამჩნია, როგორ მოზღვედნენ საიდანღაც ძლიერი ტალღები.

შეარყიეს შეუპოვარი, შეატორტმანეს დაუძლეველი, ერთიც შეუტიეს, ერთიც ეკვეთნენ და სამუდამოთ ჩაიკრეს ქაბუკი გულში.

როგორც აკვანში—მიასვენებდნენ ქაბუკს ტალღებ-...

როგორც ნანინას—თავიანთ ღელვას ასმენდნენ ყურში...

მხოლოდ ეს ნანა იყო სამუდამო დამონებისა, სიცოცხლესთან გამოსალმებისა...

ესევე ნანა იყო მათი გამარჯვების ხმა, რომლითაც ეხმაურებოდნენ თავიანთ ნაპირებს, შორეულ ველებს და... კიდევ სხვებსაც, დასაღრჩობათ გამზადებულებს:

- დამარცხდა თავხედი!...
- დაიხარა ამაყი თავი!...

ლევ. მეტრეველი.



# მეზია

## III

### თვითმარველობა.

უწინდელ ჩემი წერილებიდან შეიძლება მკითხველმა ის დასკვნა გამოიყვანოს, თითქო ჩეხიაში დღეს ყოველი ეროვნული თავისუფლება მოსპობილი იყოს. ეს დასკვნა შემცდარი იქნება. ჩეხიას აქვს თვითმარველობა.

აი მოკლედ რაში გამოიხატება ეს თვითმარველობა ანუ ავტონომია.

1848 წელს დაჰბერა მთელს ევროპას საშინელმა ქარიშხალმა—ყოველმა ერმა წამოაჰყო თავი და მოითხოვა თავისი წილი თავისუფლებისა და ადამიანურ ცხოვრებისა. საკვირველია: ამ ეროვნულ გამოღვიძების ხანამ ევროპაში გამოიწვია უკანასკნელი გათახსირება ყოველ ეროვნულ მოგონებისა საქართველოში.

თითქო მართებლობას ეწინააღმდეგებოდა რაიმე ნაპერწკალი არ გადმოვარდეს საქართველოში და არ აუ-

ფეთქოს მხნეობით და განწირულებით იმის შეილება გულიო. გააუქმეს ის ერთად-ერთი დაწესებულება, რომელსაც ცოტათი მაინც ეროვნული ელფერი ელა—ეგრედ წოდებული „უმაღლესი მმართველობა საქართველოსა“ და მისი „ექსპედიციები“, გააუქმოს ქართული ეროვნული ფული, ჩაჭყლეს თავისუფალი ეკლესია, გაუღვიძეს თავდაზნაურობას ევროპულად დროს გატარების წყურვილი და მზადებას შეუდგენ მოესპოთ სამეგრელოს და გურიის დამოუკიდებლობა. ეს თავისებური და, სიმართლე უნდა ვსთქვათ, ურჯულო მეთოდი იყო საქართველოს ეროვნულ ცხოვრების გასანადგურებლად. განადგურების მერე ევროპიდან გადმოსროლილ ნაპერწყალს შიში არა ჰქონდა. აბა რას მოეკიდებოდა ეროვნული ცეცხლი გადაგვარებულ აფიკრობას თუ გარუსებულ ქალებს!?

მაგრამ სჩანს, მსოფლიო კანონები კაცობრიობის მოძრაობის უფრო ძლიერია ვიდრე პოლიტიკური შორს მჭრეტელობა რუსეთის პოლიტიკისა. მიუხედავად იმ დამალული, ქვეშდროითი და ჩუმ-ჩუმის პოლიტიკისა, რომელსაც დღემდე ჩვენში ბოლო ვერ მოჰღებია, იმ ეროვნულ მოძრაობამ ევროპაში ჩვენშია იბოვა მცირე პასუხი. ნიკო ბარათაშვილის და გიორგი ერისთავს მოჰყვა მთელი კრებული ჩვენი მოწინივე მოღვაწეებისა...

მაგრამ დავუბრუნდეთ ჰასბურგის იმპერიას. დაჰბერა თუ არა 1848 წლის ქარიშხალმა, მთელი ტერიტორია ამ იმპერიისაც დაიძრა უსწორ-მასწორად, აქ აიწია, იქ დაიწია, და მთელი სახელმწიფო ისე გაიბზარა, რომ მისი სამუდამოთ დარღვევა ბევრს აუცილებელი ეგონა.

ეროვნული თვალსაზრისით აქ შესანიშნავია ის, რომ უნგრეთმა მოიპოვა სრული თავისუფლება: მისი სახელმწიფოებრივი უფლებანი აღდგენილნი იყვნენ. ამის შემდეგ უნგრეთს აქვს საკუთარი პარლამენტი, თავისი სამინისტრო და გამგეობა და სრულებით დამოუკიდებელია ავსტრიისაგან. კონსტიტუციაში განსაზღვრულია ის საერთო საქმეები, რომლებიც შეეხებიან მთელს იმპერიას და ამ საქმეების გადასაწყვეტად ყოველ წლივ უნდა მოხდეს თავისუფალი შეთანხმება ავსტრიის და უნგრეთს შორის. იმ საკრებულოს, სადაც ეს შეთანხმება ჰხდება, ჰქვია დელეგაცია.

ჩებიამ ვერ გაჰმოკლიჯა დროთა მიმდინარეობას ამისთანა უფლებანი. იგი დარჩა იმპერიის მეორე ნახევარში ავსტრიაში როგორც მისი პროვინცია. მაგრამ ამ პროვინციამ მაინც მიიღო ადგილობრივი თავისუფლება.

ესლა ავსტრია შესდგება სხვა და სხვა ავტონომიური პროვინციებისაგან. იმათ შორის ყველაზე უფრო დიდი არის ჩებია ან, სწორედ რომ ვსთქვათ, სამი მისი ნაწილი: ბოჰემია, მორავია და სელეზია. სამივე პროვინციას აქვს მინისტრული

დამოუკიდებელი ერთი მეორისაგან ადგილობრივი თვითმართველობა.

ამ თვითმართველობის სათავეში სდგას ხალხის მიერ არჩეული სეიმი ანუ **ლანდტაგი**. ლანდტაგს ნება აქვს ყოველი საქმის გარჩევის და გადაწყვეტისა, რომელიც კი შეეხება მიწათ-წარმოებას და მეურნეობას, საზოგადო ქონებას და შენობას, საქველმოქმედო დაწესებულებას, ადგილობრივ შემოსავალ-გასავალს (ბიუჯეტს, სასოფლო საქმეებს, ხალხის განათლებას, საეკლესიო მოთხოვნილებას, ჯარის კაცთა ხარჯს და დაბინავებას). გარდა ამისა ლანდტაგს ნება აქვს განიხილოს უმაღლესად მიღებული კანონები და წარმოსთქვას თავისი აზრი, თუ ეს კანონი რაიმე ფრად ეწინააღმდეგება ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს.

ნება აქვს აგრედვე შეიმუშავოს საჭირო კანონპროექტი და წარუდგინოს მართველობას მისაღებად და დასამტკიცებლად, თუ საკამათო საგანი აღმატება მის კომპეტენციას.

ლანდტაგი არის ადგილობრივი კანონმდებელი საკრებულო, აღმსრულებელი უფლება კი ასე არის მოწყობილი: თვით ლანდტაგი ირჩევს ხოლმე **კომიტეტს**, რომელიც შესდგება ექვსი პირისაგან, და ერთს თავმჯდომარეს. ეს კომიტეტი გახლავსთ ადგილობრივი სამინისტრო; იგი—ლანდტაგის წარმომადგენელია, იგი განაგებს ადგილობრივ საქმეებს, თავის მოქმედებაში ანგარიშს აძლევს ლანდტაგს და პასუხის მგებელია იმის წინ.

გუბერნატორი მხოლოდ თვალყურს ადევნებს ამ თვითმართველობის მუშაობას. ყოველი დადგენილება ლანდტაგისა უნდა იქმნას დამტკიცებული ზოგი გუბერნატორისა ზოგი, თვით იმპერატორის მიერ.

ერთი შესანიშნავი მხარეთაგანი ავსტრიის კონსტიტუციასა ის არის, რომ კომპეტენცია ყოველ საკანონმდებლო დაწესებულებისა წინასწარ განსაზღვრულია; ჩამოთვლილია ის საგნები, რომელიც ექვემდებარება დელეგაციას, რეინსტრატს და ლანდტაგს. ამიტომ ხშირია ხოლმე ასეთი შემთხვევა, რომ ეს თუ ის საგანი სულ არ არის ნახსენები კონსტიტუციაში. ვინ უნდა გადასწყვიტოს მაშინ აღძრული საკითხი ამისთანა საგნის შესახებ? მაგალითად, რომელ საკანონმდებლო საკრებულოს შეეხება საადგილ-მამულო კადასტრის მოწეს-რიგება? ეს კითხვა პირველად ასტყდა მორავიის ლანდტაგში.

ლანდტაგმა გადასწყვიტა, რომ ეს საკითხი შეეხება მთელს ავსტრიას და გადაწყვეტილი უნდა იყოსო რეინსტრატის მიერ.

მე ამ საგანზე ამიტომ შევდგვი, რომ დამენახებინა მკითხველისთვის, თუ რა შედეგი მოსდევს იმ თავისებურობას ავსტრიის კონსტიტუციისა, რომელიც ზემოთ მაცხს აღნიშნული. ყოველი მოვლენა ცხოვრებისა, ყოველი განწყობილება ადამიან-

თა შორის შეუძლებელია დაწვრილებით ჩამოთვალაოს. ვერავითარი კანონი ვერ ჩამოსთვლის ცხოვრების ათას ფერობას.

ავსტრიის კონსტიტუციას კი ჩამოთვლილი აქვს და საგნებრივად განსაზღვრული უფლება როგორც რეისრატისა, აგრედვე ლანდტაგისა. აქედან ის გამოდის, რომ აუარებელი მხარე სხვა და სხვა მოვლენათა განუსაზღვრელად დარჩება. ამითი მსარგებლობს ადგილობრივი თვითმართველობა. ლანდტაგს ნება აქვს, ის მოვლენა, რომელიც ნახსენები არ არის კონსტიტუციაში, სცნოს ადგილობრივ საქმედ და შევიდეს მის განხილვაში. აქედან მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, თუ რამოდენად ვრცელია ჩეხიის პროვინციების ავტონომია, თუმცა კონსტიტუციაში ვიწროდ არის განსაზღვრული მათი უფლება.

მაშ რაღა უნდათ კიდევ ჩეხებს? — შეიძლება, გაიკვირვოს მკითხველმა: იმათ ჰქონიათ ავტონომია, ადგილობრივი თვითმართველობა, რომელმაც, ექვი არ არის, ალბათ დიდი სარგებლობა მოუტანა ქვეყანას. მართლაც, ჩეხია ძალიან წინ წავიდა: მისი მეურნეობა მაღლა სდგას, მრეწველობა განვითარებულია, მთელი ტერიტორია მოფენილია სხვა და სხვა სკოლებით. თვითმართველობა შეიქმნა უძლიერეს ძალად, რომელმაც დასძრა მთელი ქვეყანა, ააღორძინა იგი და გზა უჩვენა თავისუფლებისაკენ.

რა უნდათ ჩეხებსა?! ერთი: უნდათ **გაერთიანება** მთელი ჩეხიისა, ან—როგორც თვითონ ამბობენ ხოლმე,—წმინდა ვაცლავის გვირგვინის მიწებისა. ეხლა ჩეხია სამ ნაწილად არის გაყოფილი: სამეფო ბოჰემიისა, სათავადო მოარავიისა და სამთავარო სილეზიისა. აგრე დაქუცმაცება ერთი ერისა რასაკვირველია არ არის სასურველი და დიდად მანებელია მთელი ერის მომავლისთვისა. წარმოიდგინეთ, რომ საქართველომ მოიპოვა თვითმართველობა, მაგრამ ისე კი-არა, როგორც საქართველოა, არამედ თითოეულმა მისმა ნაწილმა ცალ-ცალკე: კახეთს ცალკე, იმერეთს ცალკე, სამეგრელოს ცალკე და ასე ყველა საქართველოს ნაწილებს. რასაკვირველია, სულ არაარაობას ესეც ემჯობინებოდა, მაგრამ აშკარაა, თვით ეროვნული აღორძინებისთვის შეუდარებელად სამჯობინო იქნებოდა ავტონომია მთელი საქართველოსა. თვითონ საქართველოს თვითმართველობამ უნდა მოაწესრიგოს თავისი შინაური ცხოვრება და შესაფერი დამოკიდებულობა მისცეს ამა თუ იმ კუთხეს. — ასათიფეა ჩეხიის მდგომარეობა. მხოლოდ მისი მტრებისთვის ხელსაყრელია ასეთი დაქუცმაცება ქვეყნისა.

მეორე: უნდათ თავისი ცენტრი—ქალაქი პრაჰა.—ეხლა ეს ცენტრი—ვენაა. ვენაში არის რეისრატატი ე. ი. უმაღლესი საკანონმდებლო საკრებულო. ამ საკრებულოში, სადაც მანამ წარმომადგენელია, ბოჰემია ჰგზავნის 92 წარმომადგენელს,

მორავია— 36 და სილეზია — 10, ან სულ ჩეხია — 138. ამ რიცხვში ჩვეულებრივად 25—30 გერმანელი დეპუტატია და დანარჩენი კი ჩეხები. ამნაირადვე ჩეხია იღებს მონაწილეობას დელეგაციაში ე. ი. იმ უმაღლეს დაწესებულებაში, რომელმაც უნდა განარჩიოს და გადაწყვიტოს უნგრეთის და ავსტრიის შორის საერთო საიმპერიო საქმეები.— დელეგაციაში ბოჰემია ჰგზავნის 10-ს წარმომადგენელს, მორავია—4, და სილეზია—1.

ამნაირად უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულებანი ჩეხიიდან შორს არიან: იქ ყველგან ჩეხიის წარმომადგენლები რიცხვით ცოტანი არიან და ხშირად არა აქვთ არავითარი ღონისძიება გაატარონ, სხვა პარტიების დაუხმარებლათ, რაიმე კანონპროექტი. ამასთანავე მხედველობაში თუ მივიღებთ იმას, რომ ყოველი უმაღლესი და უდიდესი საკანონმდებლო უფლება მხოლოდ რეისრატის სკოლაშია, ადვილათ მიეხედვებით, რომ, მიუხედავად მისი ავტონომიისა, ჩეხია მაინც შეგოკვილია და მის ეროვნულ ზრდას და განვითარებას ზედ აწევბა დიდი სიმძიმე ცენტრალიზმისა და გერმანელების ბატონობისა.—ამიტომაც თხოულობენ ჩეხები თავის საკუთარ რეისრატს, საკუთარ სამინისტროს, და საკუთარ უმაღლეს სასამართლოს. ეხლა სულ ეს დაწესებულებანი ვენაშია და უპირველესი კულტურული თუ პოლიტიკური ინტერესები მთელის ქვეყნისა ტრიალებს ამ ცენტრის ირგვლივ.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ იბრძვიან ჩეხები.

**გ. გვაზავა.**



**მ თ ა**

**ინტელიგენციის სამსჯავროს წინაშე.**

დღევანდელი მანდილოსანიც მოითხოვს, რომ მისი სიყვარული, როგორც სქესისა, იყოს თავისუფალი, რომ მას შეეძლოს მამაკაცთან შეუღლება სხვის ნების დამოუკიდებლად. ამისათვის დღევანდელი მანდილოსანი ცდილობს შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც წყალობით—სხვათა შორის—ნორმალური ცხოვრება დაამყაროს ცოლ-ქმრიანობაში. ამ მიზნის მისაღწევად, სხვა მიზეზებთან ერთად, მანდილოსანი ებრძვის ოჯახს, რათა თავი დაახწიოს მის კლანქებს და გამოვიდეს—სამოქმედოდ თავისუფალ ასპარეზზე. ამისთანა ბრძოლას, რასაკვირველია, დიდი ენერჯია და დიდი ცოდნა უნდა. ამ შესანიშნავ ბრძოლაში ბევრი გმირი-ქალი მსხვერპლად ხდება, მხოლოდ მცირე ნაწილი იმარჯვებს, და ამ რიგად ქალის საქმე ნელ-ნელა წინ მიდის. რაც ქართველი ქალი გაბედულად გამოვიდა ცხოვ-

რებაში, ბევრი ხანი არ არის; შეიძლება ოცი წელიწადი მივიღოთ ამ ხანად. ასე რომ საქართველოს დღევანდელი ცხოვრება უფრო სულის შემხუთველია ქორწინებაში ქალისათვის, ვიდრე თემობის დროს. ვუბრუნდები-რა ზემოთ დაყენებულ კითხვის შესახებ პასუხს, ხალმეორედ ვამოწმებ მას. მაყვალას ყოფა-ქცევა რომ თემობის მსოფლმხედველობით ავწონ-დავწონოთ, მაყვალა დამნაშავე გამოდის, რადგან თემის გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ მან უარპყო და დამორჩილა თავის ბედს. მაყვალას მოქმედებას რომ დღევანდელ თვალსაზრისით შევხედოთ, მაყვალას ვერ გავამართლებთ, ვინაიდან დღესაც მანდილოსანი იმ ცდაშია, რომ თავისი გრძნობა—მამა-კაცთან შეუღლების მხრივ—თავისუფლად გამოხატოს. ამ გვარი პირობები-კი, ზემოთაც ითქვა, თემობის დროს არსებობდა.

მამასადამე, მაყვალა დამნაშავე იმაში, რომ მისთხოვდა არა საყვარელ კაცს.

ეხლა ვეცდები, პასუხი გავცე მეორე კითხვასაც: ბრალი ედება, თუ არა მაყვალას ქმრის ხელში ყოფნის დროს სხვასთან სქესობრივი კავშირის დაქვრავში? ამ კითხვის გამოსარკვევლად ცოტა შორიდან უნდა დავიწყო და რომ უფრო გავიადვილო ჩემი საქმე, განვმარტავ ჩემ კითხვას: რატომ ასე სასტიკად ექცეოდა მთელი ქმრის მოღალატე ქალს მრუშობის ნიადაგზე?

მთელმა კაცობრიობამ გამოიარა ერთგვარი სოციალური ფორმა, განიცადა ერთგვარი საზოგადოებრივი მოვლენა. მე ვლახარაკობ მამა-კაცის და დედა-კაცის შორის სქესობრივ მოთხოვნილებით დაკმაყოფილებაზე. როგორც აშკარად ირკვევა ზოგი-ერთი მეცნიერის გამოკვლევით, პირველ-ყოფილ ადამიანთა ცხოვრებაში ძალიან ადვილი ყოფილა სქესის ნიადაგზე სურვილის დაკმაყოფილება. ეს არა ხდებოდა უჩინრად, ფარულად, როგორც დღეს, არამედ აშკარად, როგორც ჩვეულება, როგორც ადათი. სხვა მეცნიერების აზრით უფრო მეტიც ყოფილა: პირველ-ყოფილ დროის ადამიანები არაფრით არა ზღუდავდნენ თავიანთ მიჯნურების მისწრაფებას: ცხოვრებდნენ, როგორც პირუტყვები, ასე რომ სქესობრივ ნდომში არსებულა სრული თავისუფლება; სრული აღრევა სქესობრივ ნიადაგზე. მივიღებთ იმას, თუ ქალ-კაცი განუსაზღვრელ პირობებში ცხოვრებდა მიჯნურობის საქმეში, ან იმას, თუ სქესობრივი მიშვიდველობა რამოდენადმე შემოფარგლული იყო ადათით—ამას ჩამოვის ეხლა არსებითად მნიშვნელობა არა აქვს. ჩემი მიზანისათვის სრულებით კმარა ისიც, რომ ადამიანმა გამოიარა სოციალური ის საფეხური, როდესაც მამაკაცი და დედაკაცი ადვილად აკმაყოფილებდნენ თავიანთ სქესურ სურვილს და ამისთანა მიფარდულება კაცსა და ქალს შორის ნება-დართული იყო მაშინდელი ზნე-ჩვეულებით, მსოფლმხედველობით. ეს სრული

სიმათლეა, ამას აუარებელი ფაქტი ამტკიცებს. ამის დასამტკიცებლათ საბუთები მრავალია აწინდელ ველურ ხალხების ცხოვრებაში. მაგალ., ზუშმენ-ზულუსების (აფრიკაში) იროკეზების (ამერიკაში) ცხოვრების გამოკვლევამ ცხადპყო ეს მოვლენა. საბერძნეთის და რომის ისტორიაც საგსეა იმ გვარი ნაშთებით, საიდანაც აშკარად მტკიცდება სქესთა მიფარდულების სიადვილე. დღევანდელ ხალხებშიც ბევრია ამ მოვლენის მაჩვენებელი ნაშთი. მე ამ მოვლენის დასამტკიცებლად არც საბუთი მომყავს და არც ფაქტებს ვასახელებ, რადგან მე პირადად მეცნიერების გამოკვლევა ამ საგნის შესახებ მიმილია როგორც უტყუარი დასკვნა და ამას არც მოითხოვს ამ წერილში წამოყენებული კითხვა. ხოლო იმას-კი საჭიროდ ვსთვლი, რომ ქართველ ერის ცხოვრებიდან ამოვიღო ნაშთად დარჩენილი რამდენიმე ფაქტი და აშკარად დავანახვო მკითხველს, რომ ჩვენ ერსაც გამოუვლია თავისი ისტორიის ის ხანა, როდესაც ჩვენ წინაპრები თავისუფლად ეარშიყებოდნენ ერთმანეთს და ამაში არც სირცხვილი იყო და არც უსინიღისობა, როგორც ზოგი-ერთებსა ჰგონიათ ჩვენში....

კაცობრიობა ძალიან ადრე მიუხვდა ამ მოვლენის მავნებლობას, რადგან სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სხვა და სხვა ცუდი შედეგი მოსდევდა ცხოვრებაში. მაშინდელ დროის მამაკაცის და დედაკაცის დამოკიდებულება სქესის მხრივ—სხვა მიზეზებთან ერთად—მეტად აფერხებდა ადამიანის წინსვლელობას. ამის გამო სქესთა თავისუფლების შეზღუდვას ადრე შეუდგა. ნდომის თავისუფლების ნიადაგზე იბადებოდა შური და შუღლი. ამ მოვლენის გამო (აქ სხვა მიზეზიც იყო) შთამომავლობა მოკლებული იყო მზრუნველობას, რის გამო ბავშვობა მეტად ნაკლები ჩნდებოდა და უფრო ნაკლები იზრდებოდა. თუ რა მნიშვნელობა აქვს ყოველ ერისათვის შთამომავლობას და მის სიმრავლეს, ეს ყვლასათვის ცხადია. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებობთ, ღონიერი და მრავალ-რიცხოვანი შთამომავლობა იყო ის ძალა, რომელიც უზრუნველპყოფდა ერის თვითარსებობას. ეს ხომ მთიელსაც კარგად ესძოდა. ბავშვი, რომლის დედა დღეს აქ იყო და ხვალ იქ, უნუგეშო, მწარე მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო. ამ გვარი ბავშვი, მოკლებული ნამდვილ, ბუნებრივ, მზრუნველობას—დედის მკერდს—ადვილად არ გაიზრდებოდა: იგი ხდებოდა უბრალო მიზეზის მსხვერპლი. თვითონ დედა-კაცი ხშირად იფუჭებდა მუცელს, რის გამო შობიერების უნარი თანდათან კლებულობდა დედა-კაცობაში. დღესაც მოიპოვება მთიელ ქალთა შორის იმისთანა ტიპი, რომელიც თავის სიბერემდის აჩენს მხოლოდ ერთიდან ექვს შვილამდის. უწინ ეს მოვლენა ჩვეულობრივი უნდა ყოფილიყო ჩვენი მთისათვის. სქესთა მიფარდულების თავისუფლება ხშირად იწვევდა დავას, რომელსაც მეტად ცუდი შედეგი მოჰქონდა

მთიელისათვის. ამ ნიადაგზე არა ერთი და ორი გვარი გადაჰყიდებია ერთმანეთს. თუ საქმე მორიგებით ვერა ხდებოდა, მაშინ იწყებოდა ხოცვა-ჟლეტა ორ გვარ შუა, რისგამო ადვილი წარმოადგენია, რომ ერთი თემი მხედრდებოდა მეორეზე...

კაცობრიობა შეეცადა მოესპო სქესთა თავისუფლება და ამისათვის—სხვათა შორის—დაარსა მონოგამიური (ერთ-კოლ-ქმარიანი) ოჯახი და ნელ-ნელა იწყო გადასვლა ამ ფორმისაკენ. ეს პროცესი დღესაც არ გათავებულა. მონოგამიური ოჯახის დაფუძნებაში სხვა მიზნებსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მე ამ კითხვას ფართოდ არ შეეხები; მე ვლაპარაკობ მონოგამიურ ოჯახის იმ მხარეზე, რომელიც შველის ჩემი აზრის ახსნას.

როგორც ზემოთაც ითქვა, ჩვენმა ერთკაცობიარა სქესთაშორის ნდომის თავისუფლება. ჩვენი ერის სხვა და სხვა თემი სხვა და სხვა დროს გამოვიდა ამ მდგომარეობიდან. ბარის ქართველი ტომები, დარღვევს-რა თემობრივი წეს-წყობილება, უფრო ადრე გააყვიდნენ მონოგამიურ ქორწინებაზე, უფრო ადრე შეზღუდეს სქესთა თავისუფალი დაკმაყოფილება და ნელ-ნელა მოსპეს კიდევ. სულ სხვა სურათს წარმოადგენდა ამ ახლო წარსულშიც—შორს რომ არ წავიდეთ—საქართველოს თემები მთაში. როგორც მტკიცდება დარჩენილ ნაშთებიდან, ბევრი ხანი არ უნდა იყვეს, რაც ეს თემები გამოვიდნენ იმ ხანადან, როდესაც ნდომით დაკმაყოფილება ადვილი საქმე იყო. თემური წეს-წყობილება პირველ ხანებში იმ გვარ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომ ხელს უწყობდა სქესთა თავისუფლებას. შემდეგში თვით თემი შეეცადა განესაზღვრა სქესთა ერთმანეთისაკენ ლტოლილება. ამ შემთხვევაში თემი მოქმედებდა იმ ნიადაგზე, როგორც მთელი კაცობრიობა. თემიც ხედავდა სქესთა თავისუფლებაში დიდ მანებლობას ხალხისათვის. ამავე დროს მთიელი ერთ-კოლ-ქმარიანი ოჯახი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა თავისუფალ ცხოვრებას სქესის მხრივ. ამ ნიადაგზე ოჯახს გამწვანებელი ბრძოლა ჰქონდა თემთან, ვინაიდან თემი, შედარებით ოჯახთან, ფართო თავისუფლებას აძლევდა მამა-კაცს და დედა-კაცს შეუღლებაში. ეს ბრძოლა უნაყოფო არ დარჩა. თემი, როგორც ზემოთაც ითქვა, ირღვეოდა; მის მაგიერ არსდებოდა მონოგამიურ ოჯახებიდან შემდგარი ორგანიზაცია, და — ბოლოს და ბოლოს — მთის თემებიც მიიღებდნენ ბარის ტომების ცხოვრების სახეს, თუმცა შეიძლება სხვანაირადაც იფიქროს კაცმა, მაგრამ ეს მე ამ ჟამად არ მაინტერესებს. ხოლო ის კი აშკარა, რომ მთაშიაც ნდომის თავისუფლება მოსპობის გზაზე ადრე დააყენეს. იმ დროს, რა დროსაც აგვიწერს ალ. ყაზბეგი, აშკარად ეტყობოდა ჩვენ მთიელს, რომ მას არ ეჩოთირებოდა მამაკაცის და დედა-კაცის არშიყოფა ბევრ შემთხვევაში.

მოვავონებ მკითხველს, რომ ყაზბეგის გმირების დროს ფშავში გაჩაღებული წაწლობა იყო. წაწლობა მდგომარეობდა იმაში, რომ გასათხოვარ ქალს უფლება ჰქონდა თავისუფლად დეეკმაყოფილებინა სქესის მოახოვნილება, ოღონდ შვილი არ გეეჩინა. ნაწაწლარი ქალი, გათხოვების შემდეგ უნდა გამზადარიყო ერთგული ცოლი ქმრისა და თუ დაიქორწინებოდა, მას ზოგჯერ ცხვირსაც სჭრიდნენ, რის გამო დიდი დავა ატყდებოდა ხოლმე ორ მოყვარე გვარ შუა. ქალს შეეძლო გაქცეოდა ქმარს და სხვა შეართო — ეს დიდ დანაშაულს არ შეადგენდა; ამას თვით თემიც ბევრჯერ ხელს უწყობდა. მიუხედავად ამისა, ლალატი ყოველად შეუძლებელი იყო; ლალატს დიდი სასჯელი მოსდევდა. ჩვენ მთაში არცებობდა ერთი ახირებული — დღეის მიხედვით — ჩვეულება: მასპინძელი ვალდებული იყო, უცხო სტუმრისათვის ღამე თავის ოჯახიდან ერთ-ერთი ქალი მიეთავაზებინა. ამის ნაშთი დღესაც მოიპოვება ჩვენ მთაში, ხოლო სხვა სახით. ეს ფაქტიც იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი მთიელი საკმარისად თავისუფალი ბრძანდებოდა სქესის სფეროში. ერთი შესანიშნავი ფაქტი კიდევ. ჩილოს (სოფელია თუშეთში) თავში მკათათვის დამღვეს დღესასწაულობდნენ ლაშარის ჯარობას (აქ მღვდლები ესწრებიან, როგორც სტუმრები!) ამ ხატობაში იკრიბება მთელი თუშეთის თემები, ქულოსან-მანდილოსანი. აქ შეენიშნე ერთი საინტერესო ჩვეულება. შებინდა თუ არა დედა-კაცობას გარს შემოარტყეს ყარაულები და არც ერთი მამა კაცი აღარ გააქაქანეს; მათ შორის შვილს ნება არ მისცეს დედასთან მისულიყო, ძმა დასვერ ნახავდა... ამ დადგენილების დამრღვევს სასტიკად სჯიან. როდესაც შეეკითხე მოხუცებს ამ ჩვეულების შესახებ, მათ მოკლედ და მარტივად ამიხსნეს: ძლიერი ხატია და ეწყინება, რომ მამაკაცი შეეხოს დედა-კაცსაო. ამ პასუხზე შეენიშნე, რომ თვით ფშავში, სადაც ლაშარის ჯვრის უმთავრესი ნიშა, დედა-კაცობა და მამაკაცობა არცდღე, არც ღამე ერთმანეთს არ შორდება მეთქი, — ამაზე მიპასუხეს: „არ ვიცით, ჩვენ ამისთანა ჩვეულება გვაქვსო“.. მე ამ ჩვეულებაში სულ სხვა მოვლენა დავინახე და სულ სხვანაირ ახსნას ვაძლევ. ლაშარის ხატობის ღამე მოვავონებ იმ ოდესმე ყოფილ დროს, როდესაც — ხან ხანდასმით — მამა-კაცი და დედა-კაცი ნებას აძლევდა თავის თავს სრულიად თავისუფლად მოქცეულიყო ნდომის დაკმაყოფილებაში. ამისათვის ნიშნავდნენ რომელიმე საჯარო დღეს და ლაშარის ღამე ჩილოს თავში უნო მოწამე იმისა, რომ ქართველ ტომსაც გამოუვლია ის ხანა, როდესაც ცხოვრება არ ეწინააღმდეგებოდა სქესთა თავისუფლებას, რამაც მთაში უფრო დიდ ხანს გასტანა. კიდევ ჩამოვთვლიდი მთიელის ცხოვრებიდან სხვა ფაქტებსაც; მაგრამ ესაქ კმარა დავინახოთ, რომ მთის თემებში ამ მოვლენას ადვილი ჰქონდა.

ალბანელი.

(შემდეგ: იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი: პეტრე სურგულაძე.